ოთველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 5 22 ივნისი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: რა არის ნაცია? **ონ—ისა.**—სამეცნიერო საუბარი, **ივ. გომართელისა.**—სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში, რუსეთში, უცხოეთში.—უცხოეთის პრესსა.—სახელმწიფო დუმა.—ღამის ბინდ-ბუნდი დააწვა არეს (ლექსი), **ნ. ზომლეთელის.**—პროვინ.ცია.—საზოგადო განათლების კურსები სახალხო მასწავლებელთათვის, **კ. ობჩელის.**—ჩუ! სმენა! (ლექსი), **ქუჩიშვილის.**—თეატრი.—საზღვარგარეთ.—წერილი რედაქციისადმი.—განცხადებანი.

II. რა არის ნაცია?

3.

ნაციის ახალი თეორია.

წინა წერილებში ჩვენ განვიხილეთ და უარვყავით ყველა ის თეორიები, რაც კი დღემდე არსებულა ნაციის შესახებ. აქ გვინდა მკითხველს მოკლეთ გავაცნოთ ახალი შეხედულება, რასაც ჩვენ ვაღიარებთ და ვცნობთ ნამდვილ მეცნიერულ თეორიათ. ამ თეორიის ზოგიერთი კერძო აზრი მკითხველს, უეჭველია მოაგონებს ამა თუ იმ ძველ თეორიის რომელიმე კერძო შეხედულებას, მარა ეს სრულებითაც ვერ დააფოლებს მის ღირსებას. თუ ჩვენ უარვყოფთ ამა თუ იმ თეორიას, ეს იმას არ ~~ნიშ~~ ნავს, რომ იგი ისევე იშლებოდეს, როგორც იშლება დაფაზე ნაწერი ღრუბლის მოსმით. აზრის განვითარება წარმოადგენს ერთგვარ მდინარეს, სადაც დამსხვრეული თეორიები მრავლათ აფრქვევენ სხვა და სხვა თესლეულობას. აქ უვარგისთან, რასაკვირველია, იპოვება საღი მარცვლებიც. ახალი თეორია ამ უკანასკნელს ჰკრეფავს, აცლის ჩენჩოებს, ამას მდინარის უფსკრულს უტოვებს, ხოლო ჭეშმარიტების ლებანით კი თვითონ საზრდოობს. მკითხველმა არ უნდა იფიქროს, ვითომ ჩვენ ვადგებოდეთ ეკლექტიზმის გზას, ე. ი. სხვა და სხვა თეორიების შეთანხმება-შერიგებით გვინდოდეს ფონს გასვლა. არა. ჩვენ არ მივიღეთ ძველი თეორიები, რადგან უარვყავით მათი ქვა-კუთხედი, სისტემის დედა-აზრი და მთელი აგებულება და ის, რაც აქ გვინდა გაუზიაროთ მკითხველს, დამყარებულია თავის საკუთარ საძირკველზე, განსაკუთრებულია მთელი მისი აგებულება და კვლევა-ძიების მეთოდი. მარა გადავიდეთ თვით საგანზე.

კაცობრიობა რომ დანაწილებულია ნაციებათ, ეს იცის ყველამ, ამას არ უარჰყოფს არც სწავლული და არც უსწავლელი, ნაციის არსებობაში არავის ექვი არ შეაქვს*) და ან კი როგორ იქნებოდა სხვა ნაირათ? ნაცია მუდამ ჟამს ძალუმათ მოქმედობს ადამიანზე. ნაციის იდეისათვის მრავალ ათას ადამიანს შეგნებულათ და ნებაყოფლობით მსხვერპლათ შეუწირავს თვისი სიცოცხლე. ყოველი ადამიანი—იშვიათი გამონაკლისით—თავის თავს

*) ამ ორიოდე წლის წინათ, ერთ ერთ ადგილობრივ რუსულ გაზეთებში, განსვენებული ნ. ხუდადოვი სწერდა, რომ ნაცია მარქსისტების შეხედულებით ფიქცია (ფანტაზია, მოჩვენება) არისო. ჩვენ მაშინვე-ერთ ერთ ქართულ გაზეთში-აღვნიშნეთ ამ განცხადების სრული უსაფუძვლობა. მართლაც, ვერ დამისახელებთ ვერც ერთი მარქსისტის ვერც ერთ სტრიქონს, სადაც ერი ფიქციათ იყოს აღიარებული. და თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი ამას ამბობენ, ეს მოსდით მხოლოთ პოლემიკის გატაცებით.

უეჭველათ აკუთნებს ამა თუ იმ ნაციას. მაშასადამე ცხადია უსათუოთ უნდა არსებობდეს ნამდვილი, ობიექტიური რამ ნიშანი თუ ნიშნები, რითაც ჩვენ ვცნობთ ჩვენი ნიციის ადამიანებს და ვერჩევით სხვა ნაციის ადამიანებისაგან. და სწორეთ ამ ობიექტიურ რამეს, რომელიც ადამიანებს აცალკევებს და სჭედავს ერთ ნაციათ ეწოდება ეროვნება. რა არის ეს სახელდობრ?

თუ ჩვენ გავემგზავრებით უცხო ქვეყანაში, პირველივე გრძნობა, რასაც ჩვენ იქ შესვლის უმალვე განვიცდით, იქნება უცნაურობა; ყველაფერი, რასაკ იქ ვხედავთ და რაც გვესმის უცნაურია ჩვენთვის; აშკარა ხდება, რომ ჩვენ და იმ უცხო ნაციის ადამიანები არა ვგევართ ერთმანეთს. თუ დიდხანს დავრჩებით იმ ქვეყანაში, ბოლოს უცნაურობა გაქარწყლდება ან და დაჰკარგავს თავის სიცხოველეს; შევეჩვევით იქაურობას, ჩვენ თვითონ დავემსგავსებით იქაურ ნაციის ადამიანებს, იმათებურათ ჩავიცვამთ და დავიხურავთ, იმათებურათ ვილაპარაკებთ და სხ. და სხ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, რამდენი ხანიც უნდა დავყოთ იმ უცხო მხარეს, უცხოთა შორის ჩვენ და ისინი მაინც ერთმანეოში ვერ გავილესებით და სხვა და სხვა ადამიანები დავრჩებით. ორი სხვა და სხვა ნაციის ადამიანი, თუნდაც ერთი და იმავე შეძლებისა და განათლების მექონე, სხვა და სხვა ნაირათ ცხოვრობენ, სხვა და სხვა ნაირათ ატარებენ დროს, სხვა და სხვა ნაირათ სიამოვნებენ. თუ ჩვენს დაკვირვებას ბოლომდის მივიყვანთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენ და სხვა ნაციის ადამიანებს სხვა და სხვა გვარი გვაქვს მგრძნობელობა, აზროვნება, სხვა და სხვაა ჩვენი სურვილი-ნება და მოქმედება; ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი და იგივე მოვლენა ჩვენზე სხვა და სხვა შთაბეჭდილებას ახდენს; ერთსა და იმავე გარემოება-პირობებში ჩვენ და სხვა ნაციის ადამიანები სხვა და სხვა ნაირათ ვიქცევით. აქედან თავის თავათ ცხადია დასკვნა: ჩვენ და იმათ—სხვა ნაციის ადამიანებს—სხვა და სხვა შინაგანი თვისებები გვქონია, ჩვენ სხვა და სხვა „ბუნებისა“, და სხვა და სხვა ხასიათისა ვყოფილვართ. მაშასადამე ის, რაც კაცობრიობას ანაწილებს თუ ადუღებს და სჭედავს ნაციებათ, ეს ნამდვილი, ობიექტიური ნიშანი არის განსხვავებული, ნაციონალური „ბუნება“ ანუ ნაციონალური ხასიათი, როგორც ამბობს ავსტრიელი სწავლული ოტტო ბაუერი.*)

*) ამ მეცნიერმა ამ რამდენიმე თვის წინათ გამოაქვეყნა ფრიად შესანიშნავი გამოკვლევა. იხ. Marx-studien. Blätter für theorie und Politik des wissenschaxtlichen Sozialismus. Herausqeqebenvon Dr. Max. Aller und Dr. R. Hilferdinq. Band II otto Bauer, Nationalitätenxraqe und Sozialdemokratie (ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია). ეს შრომა მიუცილებლათ უდიდესი განძია, რომელიც კი ჩვენი დროის სოციალ-პოლიტიკურ ლიტერატურამ შეიძინა. იგი საპატიო ადგილს დაიჭერს მარქსისა და ენგელსის კაპიტალურ, სამეცნიერო გამოკვლევათა შორის. ამ წიგნში სიამოვნებით ამოვიკითხეთ—ჩვენი საკუთარი აზრი ნაციონალურ საკითხის შესახებ და ნაციის გაგების შესახებ, რაც ჩვენ უკვე სხვა დროს (ამ რამდენიმე წლის წინათ) და სხვა ადგილას (ერთ-ერთ ადგილობრივ დღიურ გაზეთში) გამოვთქვით ბაკვრით. ოტტო ბაუერს ჩვენ არ ვეთანხმებით სავსებით მხოლოთ ერთ პუნქტში, რასაც თავის ადგილას აღვნიშნავთ.

ონ.

მკითხველმა კარგათ უნდა გაიგოს თუ რას აღვნიშნავთ ტერმინით ნაციონალური „ბუნება“ ანუ ნაციონალური ხასიათი. განვმარტოთ კიდევ ჩვენი აზრი. თუ არ უნდა, რომ ყველა ნაციის ადამიანებს მოეპოვებოთ უნარი აზროვნობისა და გრძნობელობისა, სურვილებისა და მოქმედებისა; ყველანი განვიცდით სიხარულსა და მწუხარებას, ყველამ ვიცით სიცილი და ტირილი და სხ. და სხ. ყველა ნაციის ადამიანებსა გვაქვს ერთსა და იმავე კანონების ფიზიოლოგია და პსიხოლოგია, ყველანი ადამიანები ვართ, შევადგენთ ერთ მთელს—კაცობრიობას. მაგრამ ყოველ ნაციის ყველა ადამიანი უეჭველათ განსხვავდება ყველა ნაციის ყველა ადამიანებისაგან. მაგ. ყოველი ქართველი—ყველა რუსისაგან. ყველა ქართველები ერთნი ვართ, თავის მხრივ ყველა რუსებიც ერთნი არიან; ჩვენ და ისენი კი სხვა და სხვები ვართ. მარა ვერც ქართველობაში და ვერც რუსებში ვერ იპოვით ორ ადამიანს, რომელნიც ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდენ ფიზიკურათ და პსიხიურათ. ყოველ ადამიანს აუცილებელათ მოეპოება **თავისებურობა** ანუ ინდივიდუალობა. ხოლო ერთ და იმავე ნაციის ადამიანებს კი უეჭველათ მოეპოებათ საერთო ფიზიკური და პსიხიური (სხეულისა და სულის) თვისებები, მათ აქვთ საერთო თავისებურობა, საერთო, ნაციონალური ვინაობა ანუ ხასიათი. მაშასადამე ნაციის ადამიანების საერთო ფიზიკურ და პსიხიურ თვისებათა მთელი წყება—აი რა არის ნაციონალური ხასიათი. ნაციის ენა, ზნე-ჩვეულება ხელოვნება, ფილოსოფია და სხ. და სხ. მთელი კულტურა, ნაციის მთელი ცხოვრება ცოცხალი გამოხატულებაა ამ ნაციონალურ ხასიათისა.

ნათქვამიდან მკითხველმა ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს, ვითომ ჩვენ ნაციონალური ხასიათი მიგვაჩნდეს ნაციის განსაკუთრებულ ცხოვრების, მის განვითარების და ისტორიის წარმომშობ მიზეზათ. აგრე რომ იყოს, ეს ხომ იგივე მეტაფიზიკა იქნებოდა, რაც ჩვენ უკვე უარვყავით. არა, „ნაციონალური ხასიათი—როგორც მშვენივრათ ამბობს ოტტო ბაუერი—არ წარმოადგენს რაიმე ახსნას, ის, პირიქით, თვითონ არის ასახსნელი. ნაციონალურ ხასიათის სხვა და სხვაობის აღიარებით მეცნიერებამ ნაციის პრობლემა კი არ გადასწყვიტა, არამეთ მხოლოთ წამოაყენა“. დიახ, მეცნიერებამ უნდა გვიჩვენოს საიდან მომდინერეობს, როგორ იბადება და ვითარდება ნაციათა განსაკუთრებული ბუნება თუ ხასიათი.

ნაციონალური ხასიათი არ არის ერთხელ და საბოლოოთ განსაზღვრული რამ; იგი იცვლება ისტორიის განმავლობაში. ამიტომ ერთი ნაციის ადამიანებს ხასიათის ერთობა მოეპოებათ მხოლოთ განსაზღვრულ ეპოქაში. ხოლო სხვა და სხვა ეპოქის, მარა ერთი და იმავე ნაციის ადამიანები კი, რასაკვირველია, დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რა დრო და რა ეპოქაც უნდა ავიღოთ, დავინახავთ, რომ ადამიანებს ნაციებათ ჰყოფს და აერთებს ნაციონალური ხასიათი, ეს საერთოა თვი-

თეული ნაციის ყველა ადამიანებისათვის ყველა ეპოქაში. ხოლო სხვა და სხვა ეპოქას, მარა ერთ და იმავე ნაციის ადამიანებს კი აერთებს ის გარემოება, რომ ისინი სხვა და სხვა რგოლებია ერთ და იმავე განვითარება-ცვალებადობის ჯაჭვისა. დიახ, ნაციონალური ბუნება თუ ხასიათი შეუჩერებლივ განიცდის ცვლილებას, იგი იცვლება მუდამ ჟამსა და საათს, იგი განუწყვეტელი ცვალებადობაა, მიმდინარეობაა. (თავის თავად ცხადია, რომ ეს ცვლილება ხდება მეტათ პაწია და უჩინარი დოზებით; ცვლილება რომ დასანახი და შესამჩნევი გახდეს, ამისთვის საჭიროა განელოს საკმაოთ გრძელმა პერიოდებმა). მერე რა ახდენს, რა აწარმოებს ამ ცვლილებას? უეჭველია ის გარეშე პირობები, რომელშიაც ადამიანი ცხოვრობს, რომელშიაც იბადება და ვითარდება იგი. თავის არსებობის დასაცავათ და განსაგრძობათ, ყველა თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ადამიანი იძულებულია აწარმოვოს ბრძოლა გარეშე ბუნებასთან. ხოლო „როცა ადამიანი მოქმედობს და სცვლის გარშემორტყმულ ბუნებას, იგი ამით და ამავე დროს სცვლის და ასხვაფერებს თავის საკუთარ ბუნებას“ (კ. მარქსი).

არსებობისათვის ბრძოლის პირობები კი საერთოა ერთი ნაციის ადამიანებისათვის, ამიტომაც ამათ უმუშავდებათ საერთო ხასიათი. მაშასადამე საერთო არსებობა, საერთო თავგადასავალი თუ ბედ-იღბალი და ისტორია, აი რა ჰქმნის ნაციონალურ ხასიათს.

თვით ამ უკანასკნელის არსებობა კი ნამდვილი, ობიექტივური და ემპირიული ფაქტია. „ამის უარყოფა-როგორც ამბობს ბაუერი-შეუძლიან მხოლოთ იმ დოქტრინარიზმს, რომელიც მხოლოთ იმას ხედავს, რის დანახვაც თვითონ უნდა, და ამიტომ ვერა ხედავს იმასა, რასაც ხედავენ ყველანი“.

თქმა არ უნდა, რომ ნაციონალურ ხასიათს საკმაოთ მოეპოება უარმყოფელნი.

როგორც მკითხველი მიხვედრილი იქნება, კაუცკი არ არის იმის თანახმა, რომ ნაციონალური ხასიათი შეადგენდეს ნაციის არსებას. მარა იგი იქამდის მაინც ვერ მიდის, რომ სრულიად უარჰყოს ნაციონალურ ხასიათის არსებობა. კაუცკი სწერს: „არსებობისათვის ბრძოლის განსაკუთრებული ფორმები იწვევენ სხეულისა და სულის განსაკრთრებულ თვისებებს ..... ასე, სხვა გვარია ხასიათი ის ხალხისა, რომელიც იკვებება განსაკუთრებით მცენარეულობით და სხვა არის იმ ხალხისა, რომელიც იკვებება ხორცეულობით... სადაც მთელი ნაცია ერთნაირ პირობებში სცხოვრობს, იქ იგი ნაციონალურ ხასიათსაც ანვითარებს.“*) მაგრამ—კაუცკის აზრით—როდესაც ნაცია აღწევს განვითარების განსაზღვრულ საფეხურს, ნაციონალური ხასიათი უკვე ძნელათ დასანახი ხდება. მისი აზრით მაგ. ამ რამდენიმე ათი წლის წინათ კიდევ შეიძლებოდა რუსების ან უნგრელების ნაციონალურ ხასიათზე ლაპარაკი, მარა დღეს კი ეს აგრე აღარ არის. ნაციონალური ხასიათი, ამბობს კაუცკი, მოეპოება მხოლოთ პატარა ნაციას, რომელიც შედარებით ვიწროთ შემოფარგლულ ტერიტორიაზე სცხოვრობს და საზოგადოებრივ განვითარების დაბალ საფეხურზეც იმყოფება; ხოლო როდესაც ეს ნაცია იზრდება, მრავლდება რიცხვით, იჭერს დიდ ტერიტორიას, რომლის ნაწილები ერთი მეორისაგან განსხვავდებიან გეოგრაფიულათ და ეკონომიურათ; როდესაც ხდება ღრმა საზოგადოებრივი დიფერენციაცია (დაყოფა-დანაწილება), ე. ი. ჩნდება კლასები და პროფესიები თუ სხვა სპეციალობა, აი მაშინ უკვე ჩნდება ნაციონალურ ხასიათის გაქრობის ტენდენცია. „ყოველ შემთხვევაში,—დაასკვნის კაუცკი—დიდი კულტურული ხალხის ნაციონალური ხასიათი პრობლემატიური და ძნელათ დასანახი მოვლენაა“ [1]) და ამიტომ იგი აცხადებს, რომ „ნაციონალური ხასიათი არ არის აუცილებელი პირობა ნაციის წარმოშობის და არსებობისათვისო“. [2])

განვიხილოთ საკითხი უფრო დაწვრილებით და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ კაუცკი ამაში შემცდარი არის.

კაუცკიმ და მასთან ყველა მარქსისტებმა ვიცით, რომ გეოგრაფიულ არეს დღეს აღარ შეუძლიან რაიმე თვალსაჩინო ცვლილება მოახდინოს ხალხზე; მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცხოვრება აღწევს განსაზღვრულ სიმაღლეს, გეოგრაფიულ არეს უკვე ესპობა ხალხზე პირდაპირი ზე-მოქმედება. გეოგრაფიულ არეს ზე-გავლენა ხალხზე უეჭველათ გატარებულ-გადატეხილია საზოგადოებრივ არეში (პირობებში).[3]) დიდ და ღრმა მნიშვნელობის მექონია ქვეყნის ეკონომიური ვითარება, მარა რაც უნდა სხვა და სხვა გვარი იყოს ნაციის სხვა და სხვა ნაწილების ეკონომიური განვითარება, მისი უმრავლესობა მაინც უეჭველათ იმყოფება ერთ-ნაირ ეკონომიურ ვითარებაში, არ შეიძლება ერთსა და იმავე ნაციაში ისეთი შიგ-ჭრელი იყოს ეკონომიური მდგომარეობა, რომ მაგ. ერთ სოფელსა თუ ქალაქში არსებობდეს კაპიტალიზმი, მეორეში—ფეოდალიზმი, მესამეში—ანტიკური მონობა და სხ. ყოველ ეპოქაში ნაციის დამახასიათებელია ერთი რომელიმე ტიპის ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობა მაგრამ—გვეტყვიან—აი დღეს ყველა დაწინაურებულ ნაციებში უკვე გამეფებულია კაპიტალიზმი, რატომ ეს ნაციები ერთმანეთში არ ილესებიან, რატომ არ ანვითარებენ ერთსა და იმავე ნაციონალურ ხასიათს? საქმე ის არის, რომ ერთი და იმავე კაპიტალიზმის დამყარება კიდევ არ ნიშნავს ეკონომიურ წყობილების სრულ იგივეობას. და ეს უკანასკნელი რომ კიდეც მოხდეს, ნაციები კიდევ მაინც ვერ გაერთიანდებოდენ, რადგან სხვა და სხვა ნაციები კულტურულ განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე დგენან და **მათ სხვა და სხვა, ნაციონალური კულტურა მოეპოვებათ**, რის გამოც იგინი ერთსა და

*) Nation. und Internationalität, გვ. 4—5.

[1]) იხ. დასახელებული წაგნი, გვ. 6.

[2]) ib. გვ. 12.

[3]) იხ. შესაფერი ადგილი თუნდ პლეხანოვის წიგნიდან: Къ вопросу о монистическомъ взглядѣ на исторію.“

და იმავე მოვლენას **სხვა და სხვა ნაირათ განიცდიან.** ცხოვრების მზგავსი პირობები, მზგავსი ბედ-იღბალი უეჭველათ იწვევს ადამიანთა მზგავს ხასიათსაც. ხოლო ნაციონალურ ხასიათს, ე. ი. ერთი ნაციის ადამიანთა ხასიათის ერთობას ჰქმნის ისტორიულ ბედ-იღბალის **ერთობა და არა მზგავსება.**

ზემო ნათქვამის შემდეგ, მკითხველი ადვილათ გასცემს პასუხს ყველა იმ საკითხებზეც, რასაც აღგვიძრავს ნაციების საზოგადოებრივი დიფერენციაცია კლასებათ, პროფესიებათ და სხვა ჯგუფებათ. შეიძლება მაგ. გვითხრან, რომ ქართველი, რუსი, ფრანგი და სხ. ნაციათა პროლეტარიატი უფრო ახლოა ერთმანერთთან, ვიდრე თავ-თავიანთ ნაციების ბურჟუაზიასთან. თქმა არ უნდა, რომ ყველა ქვეყნებისა და ნაციების პროლეტარიატს ერთგვარ კლასიურ მდგომარეობასთან ერთათ ხასიათის ბევრი მსგავსებაცა აქვთ; ერთგვარია მათი კლასიური ჭირ-ვარამი, კლასიურ ბრძოლის სიხარული და მწუხარება, ერთგვარია მათი კლასიური ეთიკა (ზნეობა) და რევოლიუციონური სულიერი განწყობილება. მაგრამ მათ—სხვა და სხვა ნაციების პროლეტარებს—არ მოეპოებათ ის ერთობა ხასიათისა, რასაც ეწოდება ნაციონალური ხასიათი. და ასეც უნდა იყოს, რადგან სხვა და სხვა ნაციების მუშათა კლასის ისტორიული ბედ-იღბალი მხოლოთ ჰგავს ერთმანეთს და ერთი და იგივე კი არ არის, აქ **მსგავსებაა** და არა **ერთობა.** ერთისა და იმავ ნაციის პროლეტერიატსა და ბურჟუაზიის შორის უფრო დაახლოვებული და მჭიდრო ურთიერთობაა, ვინემ სხვა და სხვა ნაციების ერთსა და იმავე კლასის ადამიანთა შორის. ერთი და იმავე ნაციის პროლეტარებიც და ბურჟუებიც ერთ და იმავე ქუჩებზე დადიან, ერთ და იმავე სანახაობებს ხედავენ, ერთ და იმავე ჟურნალ-გაზეთობის „ატმოსფერაში“ ტრიალებენ, ერთ და იმავე სოციალურ მოვლენებში იღებენ მონაწილეობას, ხშირათ პირდაპირ ერთმანეთთან იჭერენ საქმეს ან ერთ და იმავე პირებს ელაპარაკებიან და სხვ. და სხვ. ერთი ნაციის სხვა და სხვა კლასები რომ უფრო მჭიდრო ურთი—ერთობაში არიან, ვინემ სხვა და სხვა ნაციის ერთი და იგივე კლასის ადამიანები, ამას მჭერმეტყველურათ მოწმობს საერთო ენის არსებობა. ენა ხომ იარაღია, საშუალებაა ადამიანთა ურთიერთობისა; საერთო ენა ვითარდება იქ, სადაც არის საერთო ცხოვრება და ურთიერთობა. შეუძლებელია, სრულიად წარმოუდგენელია უფრო მჭიდრო ურთიერთობა იქ არსებობდეს, სადაც არ მოიპოვება საერთო ენა და უფრო სუსტი და ბოში ურთიერთობა კი იყოს იქ, სადაც ასეთი ენა არსებობს. და რაღა საკვირველია თუ ხასიათის ერთობაც—ნაციონალური ერთობა—ჩნდება იქ, სადაც ადამიანთა შორის გაბმულია ასეთი განუწყვეტელი და მჭიდრო ურთიერთობა და ზეგავლენა.

ჩვენ ზევით შევნიშნეთ, რომ ნაციონალური ბუნება თუ ხასიათი წარმოადგენს მთელ წყებას ფიზიკურ და სულიერ თვისებათაო. არ უნდა ვიფიქროთ, ვითომ ეს თვისებანი თანასწორი ღირებულების იყვეს ნაციისათვის ადამიანთა ფიზიკური თვისებები თავისდათავათ საგანია ანთროპოლოგიის; ჩვენთვის კი ეს თვისებანი საინტერესოა მხოლოთ იმდენათ, რამდენადაც ამასთან შეერთებულია განსაკუთრებული პსიხიური თვისებანი. „თვით ანტისემიტი—შენიშნავს ბაუერი—ებრაელის ცხვირს არა მიაქცევდა არვითარ ყურადღებას, თუ იგი დარწმუნებული არ იქნებოდა, რომ ებრაელის სხეულის ტიპთან შეერთებულია განსაკუთრებული სულიერი თვისებანიო“. და ყველა ამ თვისებათ კი. როგორც ზევითაც ვთქვით, ჰქმნის არსებობისათვის ბრძოლის პირობები. ეს უკანასკ ელნი მოქმედებენ ადამიანებზე, ჰქმნიან ნაციონალურ ხასიათს ორი გზით: მემკვიდრეობით და ტრადიციით (გადაცემით.) როცა ბავშვი იბადება, მის არსებაში უკვე ჩაქსოვილია სხვა და სხვა თვისებანი, ნაყოფი წინაპართა ცხოვრების პირობებისა; მეორე მხრივ, როცა ბავშვი თვალს ახელს, მის გარშემო უკვე გაჩაღებულია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება, მთელი კულტურა შექმნილი და გადმოცემული იმავ წინაპართაგან. გადამწყვეტია ეს კულტურული ვითარება. საბოლოო ანგარიშით ნაციონალურ ერთობას, ნაციონალურ ხასიათს ჰქმნის კულტურული ერთობა. უამისოთ არ არსებობს ნაცი. სხვა და სხვა ნაციის ადამიანები თუ ირევიან ერთმანეთში ჩამომაელობით და გვარტომობით, მარა არ ირევიან ნაციონალურათ, ამის მიზეზია მათი განსხვავებული კულტურა; და როცა ისინი იმყოფებიან ერთ და იმავე კულტურის ზეგავლენაში, მარა მაინც ერთმანეთში არ ილესებიან, ამის მიზეზია კვლავ იგივე სხვა და სხვა ნაციონალური კულტურა, რის გამოც იგინი ერთ და იმავე მოვლენათ სხვა და სხვა ნაირათ განიცდიან.

ამ რიგათ, ნაციონალური კულტურა არის ის უჭრობელი ცეცხლი, რომელიც განუწყვეტლივ უგზავნის მას, ნაციას, სითბოსა და ცხოველმყოფელობას. ამიტომ ნაციის ნასახიც კი არ არსებობს იმდრომდე, სანამ ადამიანები, როგორც დანარჩენი ცხოველები, მზა-მზარეულათ იღებენ გარეშე ბუნებიდან თავის არსებობისათვის საჭირო ნივთებს. ნაცია ჩნდება მხოლოთ განვითარების იმ საფეხურზე, როცა ადამიანები ხსენებულ ნივთების შეძენას იწყებენ **შრომით.** ნაციის თვისებებს, ნაციონალურ ერთეულს ჰბადებს შრომის ერთნაირი წესრიგი, შრომის ესა თუ ის საშუალება-იარაღები, საწარმოვო ძალები, წარმოების წეს-რიგი და ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რაიც ადამიანთა შორის მყარდება ამ წარმოების მიხედვით. ამ გვარათ, ნაციის წარმოშობა და განვითარება უნდა გაგებულ იქმნას, თოგორც ერთი ნატეხი იმ დიად ბრძოლისა, რასაც კაცობრიობა აწარმოებს გარეშე ბუნებასთან. დიახ, ნაცია უნდა შესწავლილ და გაგებულ იქმნას ისტორიულ მატერიალიზმის თვალთა ხედვის წერტილიდან. აქ არის გასაღები, რომელიც გვიხსნის ნაციის ყველა საიდუმლოებათ.

ონ.

სამეცნიერო საუბარი.

მზის სისტემა.

რიცხვი იმ ვარსკვლავებისა, რომელთა გარჩევაც ადამიანის თვალს შეუძლია მოწმენდილს ცაზე, უდრის ხუთი ათასს. ნამდვილათ კი ეს რიცხვი გაცილებით მეტია, რასაც აშკარათ ამტკიცებს ცის გასინჯვა და დათვალიერება ტელესკოპით. ტელესკოპი ეწოდება იმგვარ იარაღს, საცა სხვა და სხვა გამადიდებელი შუშები ისეა მოწყობილი, რომ შორეულ საგანს ბევრათ ადიდებენ და მანძილს კი ძალიან ამოკლებენ. ამიტომ ტელესკოპით ჩვენ შეგვიძლია ცაზე მისი დანახვა, რაც თვალისათვის მიუწდომელია. ტელესკოპმა დაამტკიცა, რომ ვარსკვლავთა რიცხვი ცაზე ათას მილიონს აღემატება. ყოველი ამ ვარსკვლავთაგანი წარმოადგენს მზეს. მასა აქვს საკუთარი სინათლე და საკუთარი სითბო. ჩვენს მზეს გარშემო უტრიალებს ციაგები. დედა-მიწა ერთ ამ ციაგთაგანია. მზე აძლევს ამათ სითბოსა და სინათლეს, სითბო და სინათლე კი აღვივებს სიცოცხლეს ციაგებზე. ტელესკოპი არ გვიჩვენებს, მაგრამ ლოგიკა გვიმტკიცებს, რომ ყოველ ვარსკვლავს თან ახლავს თავისი ციაგები; ამ ციაგებზე, თუ ყველაზე არა, ზოგიერთზე მაინც, არსებობს სიცოცხლე ისე, როგორც ჩვენს დედა-მიწაზე. ჩვენსა და ამ ვარსკვლავებ შორის ისეთი მანძილია, რომ წარმოდგენაც კი შეუძლებელია. უახლოესი ვარსკვლავიც რომ ავიღოთ, ისიც რამოდენიმე ათი ათასი მილიონი ვერსით არის ჩვენზე დაშორებული. მოწმენდილ ცას რომ შეხედოთ, შუაზე დაინახავთ თეთრ გზას, რომელსაც ხალხი ირმის ნახტომს ეძახის. ირმის ნახტომში ჩვენი თვალი ვერაფერს არჩევს, მაგრამ ტელესკოპმა დაამტკიცა, რომ იმის უმეტეს ნაწილს შეადგენენ ვარსკვლავები. ჩვენი მზე ერთ ალაგას არ არის გაჩერებული, ის მოძრაობს. მოძრაობენ აგრეთვე ვარსკვლავებიც. საით მიისწრაფიან მზე და ვარსკვლავები, ის-ნიც საკუთარ მზეს უვლიან გარშემო თუ არა, ამის შესახებ მეცნიერებამ ჯერ-ჯერობით არასფერი არ იცის.

ამ განუზომელ სივრცეში ურიცხვ ვარსკვლავთა შორის მოთავსებულია ჩვენი მზის სისტემა. თუ მთელს სამყაროს მივიღებთ მხედველობაში, მზის სისტემა ერთ ნამცეცათ წარმოგვიდგება. რომელიმე ვარსკვლავიდან რომ შეგვეძლოს გადმოხედვა, ჩვენი მზის ალაგას დავინახავთ პატარა ვარსკვლავს და დედა-მიწას კი ვერ გავარჩევდით. დიდი ტელესკოპი დაგვანახვებდა მას პატარა წერტილათ. და აი ამ პატარა წერტილზე დაფუსფუსობენ პატარა ადამიანები. მათი სიცოცხლე ერთი წამია და ამ ერთი წამის ტკბილათ გატარებასაც კი არ აცლიან ერთი მეორეს! სამყაროს სიდიადესთან ჩვენი დედა-მიწა თავისი ადამიანებით, რომლებმაც ერთმანერთის ჭამის მეტი ვერა მოიგონეს რა, არარაობათ გვეჩვენება.

ამ სისტემის შუა გულში მოთავსებულია მზე. სხვა-და-სხვა საგნები ერთი მეორეს იზიდავენ. მიმზიდველობის ძალა მით უფრო მეტია, რაც უფრო მეტია რომელიმე საგანში მატერია. რადგანაც მზე გაცილებით მეტია ყველა თავის ციაგებზე, ამიტომ ის თავისკენ იზიდავს ციაგებს და ატრიალებს თავის გარშემო. მკითხველი იკითხავს: თუ კი მზე ციაგებს იზიდავს, რატომ ზედ არ დაეცემიან ციაგებიო. ნიუტონმა დაამტკიცა, რომ, როდესაც მიმზიდველობის ძალა ერთი მრგვალი სხეულისა დიდია და მეორე სხეული საშინელის სისწრაფით გარბის იმისკენ, მაშინ მეორე სხეული ზედ კი აღარ დაეცემა პირველს, არამედ იმის გარშემო იწყებს ტრიალს.

მზის ციაგები არის რვა. ყველა ეს ციაგები ცაზედ ვარსკვლავებათ გვეჩვენება, მაგრამ სხვა ვარსკვლავებისაგან იმითი განირჩევიან, რომ ამოდიან და ჩადიან, ისე როგორც მზე. არ შეგინიშნავთ რიჟრაჟზე აღმოსავლეთისაკენ ვარსკვლავი? ხალხი მას ხარიპარიას ეძახის. იგივე ვარსკელავი დასავლეთისკენ არის საღამოს და, მზე რომ ჩაესვენება, ერთი საათის შემდეგ ეს ვარსკვლავიც ჩადის. ეს არის მზის ერთ-ერთი ციაგთაგანი—ვენერა.

ყველაზე ახლოს მზესთან არის მერკური. ის დედა-მიწაზე თოთხმეტჯერ პატარაა და მზეს გარშემო უვლის ორმოცდა რვა დღის განმავლობაში, ე. ი. იქ წელიწადი უდრის 88 დღეს.

შემდეგია ვენერა, რომელიც დედა-მიწაზე ცოტა ნაკლებია და მზის გარშემო შემოვლას უნდება 224 დღეს.

შემდეგია ჩვენი დედა-მიწა. დედა-მიწის შემდეგ უახლოესი ციაგი არის მარსი, რომელიც დედა-მიწის მეათედია და მზის გარშემო შემოვლას უნდება 687 დღეს.

შემდეგია იუპიტერი. 334 ჯერ მეტია ჩვენს დედა-მიწაზე და მზის გარშემო შემოვლას ანდომებს 4332 დღეს, ე. ი. ჩვენებურათ თითქმის თორმეტ წელიწადს.

შემდეგია სატურნი, რომელიც დედა-მიწაზე 92 ჯერ მეტია და მზის გარშემო შემოვლას უნდება 10,760 დღეს.

შემდეგია ურანი, რომელიც დედა-მიწაზე თოთხმეტჯერ მეტია და მზის გარშემო შემოვლას ოცდა ათი ათას დღეზე მეტს ანდომებს. ყველაზე უფრო შორს მზიდან იმყოფება უკანასკნელი ციაგი ნეპტუნი, რომელიც დედა-მიწაზე თექვსმეტჯერ მეტია და მზის გარშემო შემოვლას ანდომებს ჩვენებურათ 641 წელიწადსა და ნახევარს. ნეპტუნი თვალით არ დაინახება. მაშ როგორ მიაგნეს ის მეცნიერებმაო, იკითხავს მკითხველი.

მეცნიერმა ლევერიემ გამოიკვლია ურანის მოძრაობა და დაამტკიცა, რომ იმისი მოძრაობა მზის გარშემო სხვა ციაგების მოძრაობისაგან განირჩევა. მაშინ მეცნიერმა იფიქრა: უსათუოთ უნდა იყოს ურანს იქით ციაგი, რომელიც ურანის მოძრაობაში თავისი მიმზიდველობით ცვლილებას იწვევსო. მან გამოიკვლია მათემატიკის შემწეობით და გამოაცხადა: ახალი ციაგი უსათუოთ უნდა იყოს ცის ამა და ამ ალაგსო. მეცნიერებმა დაუმიზნეს ტელესკოპები ლევერიეს მიერ აღნიშნულ ალაგს და მართლაც დაინახეს ციაგი, რომელსაც დაარქვეს ნეპტუნი. ეს იყო 1846 წელს.

ყველა ეს აღნიშნული ციაგები უტრიალებენ მზეს გარშემო და მას არა შორდებიან. დღეს მეცნიერება იმ

აზრის არის, რომ მთელი მზის სისტემა თავდა-პირველათ წარმოადგენდა ორთქლათ ქცეულ ნივთიერებას და მეტათ დიდი სივრცე ეკავა. ამ ორთქლათ ქცეული უზარმაზარი სხეულის სხვადასხვა ნაწილები ერთი-ერთმანერეთს იზიდავდენ, რაც იწვევდა ამ სხეულის ტრიალს. ტრიალის დროს გარეგანი ნაწილები უფრო ჩქარა ნელდებოდენ და ცილდებოდენ მთელ სხეულს რკალის სახით. ამგვარი მოვლენა დღესაც სწარმოებს ცის სივრცეში. ციაგს სატურნს მაგალითათ გარეშემო აკრავს სამი რკალი. ამ რკალებიდან გაჩნდენ თანდათანი განელებით ციაგები. დარჩენილი შუაგული ნაწილი ჯერაც არ განელებულა და წარმოადგენს მზეს.

თუ დედა-მიწა, ციაგები და მზე თავდაპირველათ წარმოადგენდენ ერთ სხეულს, მაშასადამე თავისი შემადგენელი ნივთიერებით ისინი ერთი მეორეს უნდა ჰგავდენ ე. ი. მზეზე და სხვა ციაგებზე უნდა იყოს ის ნივთიერებანი, რაც დედამიწაზე არსებობს. როგორ შეიძლება ამის გაგება?

ეს ვაიგეს მეცნიერებმა ბუნზენმა და კირხგოფმა. ამათ გამოგონებას ეწოდება სპექტრალური ანალიზი. რაში მდგომარეობს ეს გამოგონება?

მზის სინათლე რომ გაატაროთ სამკუთხიან შუშაში, ის იყოფა ცისარტყელის შვიდ ფერათ, რასაც ეწოდება სპექტრი. ბუნზენმა და კირხგოფმა დაამტკიცეს, რომ სხვადასხვა გახურებული ნივთიერება სხვადასხვა სახის სპექტრს იძლევა. მაგალითათ, ჩვენ ვიცით, როგორია გახურებული რკინის სპექტრი. შემდეგ ამისა ჩვენ ვსინჯავთ მზის სინათლეს. თუ იქ აღმოჩნდა იმგვარი სპექტრი, როგორსაც იძლევა რკინა, აქედან ცხადია, რომ მზეზე რკინა ყოფილა. სპექტრალურმა ანალიზმა გამოარკვია, რომ უმეტესი ნაწილი იმ ნივთიერებისა, რაც დედა-მიწაზე არის, მზეზეც იმყოფება. დღეს უკვე თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დედა-მიწა და მზე თავისი შემადგენელი ნივთიერებით ერთნაირნი არიან, ხოლო მზეზე დიდი სიცხისა გამო ყველა ნივთიერება ჰაერგვარის სახით არის. უძველეს დროს იგივე იყო ჩვენს დედა-მიწაზედაც, მაგრამ განელების შემდეგ დედა-მიწის ნივთიერებამ მიიღო დღევანდელი სახე. ამგვარივე ბედი მოელის მზესაც; როცა ის განელდება, მისი ნივთიერებაც მიიღებს ჩვენი მიწის ნივთიერების სახეს. ამრიგათ სპექტრალური ანალიზი გვეუბნება, რომ დედა-მიწა მზის ნაწილია. ამასვე ამბობს ეს აღმოჩენა დანარჩენი ციაგების შესახებაც. ამ გამოკვლევამ ისიც დაამტკიცა, რომ მარსსა და ვენერას იმგვარივე ატმოსფერა აკრავს გარშემო (მდაბიურათ ჰაერი), რაც ჩვენს დედა-მიწას. იუპიტერსაც ამგვარივე ატმოსფერა აქვს, ხოლო იქ ორთქლი ძალიან ბევრია. მთვარე კი ჰაერს მოკლებულია. თუ კი მარსსა და ვენერაზე იმგვარივე ჰაერია, რაც ჩვენს დედა-მიწაზე, ცხადია, იქაც უნდა იყოს მცენარეულობა, ცხოველები და ადამიანიც.

სპექტრალურმა ანალიზმა დაამტკიცა, რომ ვარსკვლავები სხვა და სხვა მდგომარეობაში არიან: ზოგი თეთრია, ზოგი ყვითელი, სხვები კი წითელი. თეთრი ვარსკვლავები ბევრათ უფრო გახურებული არიან, ვიდრე ჩვენი მზე. ყვითელი ვარსკვლავების სიმხურვალე უდრის ჩვენი მზის სიმხურვალეს. წითელი ვარსკვლავები უფრო განელებული არიან.

ცის სივრცეში სხვა და სხვა ალაგას არის ნისლის მზგავსი წერტილები. ამ წერტილების გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ისინი წარმოადგენენ ორთქლათ ქცეულ გახურებულ სხეულს. ზოგიერთ მათგანს გარეშემო რკალი აქვს; ზოგან ეს რკალი მკაფიოთ მოჩანს, ზოგან კი ბუნდოვანათ, თითქოს ახლა ისახებაო. ეს ნისლის მზგავსი წერტილები გვეუბნებიან იმას, თუ რას წარმოადგენდა ძველათ მზის სისტემა. ისინი იმეორებენ იმას, რაც უკვე დიდი ხანია განიცადა ჩვენმა სისტემამ. მათი განვითარება მიმდინარეობს იმ გზით, რაც უკვე განვლო ჩვენმა სისტემამ. ჩვენი სისტემაც ერთ დროს წარმოადგენდა გახურებული ორთქლის სხეულს. ყოველგვარი ნივთიერება ორთქლათ იყო ქცეული.

ამ სხეულიდან გაჩნდენ ნელ-ნელა ციაგები და მზე. იმ ნისლიან სხეულში, რომლებიც ცის სივრცეში არიან გაბნეული, დღეს ისახება თავისი მზე და თავისი ციაგები. დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს დედა-მიწას. რას წარმოადგენდა ის თავდაპირველათ? ის იყო ნაწილი გახურებული და ორთქლათ ქცეული სხეულისა. ნელ-ნელა ჩამოშორდა ამ სხეულს და ურიცხვი მილიონი წლების განმავლობაში თანდათან განელდა. თავდაპირველათ დამოუკიდებლათ არსებობის პირველ ხანებში ის ძალიან გახურებული იყო; შემდეგ, როცა საკმაოთ განელდა, აღუღებულ ნაცარტუტას დაემზგავსა. მეცნიერთა გამოკვლევით აღუღებული ნაცარტუტის მდგომარეობაში იმყოფება დღეს იუპიტერი. ბოლოს დედა-მიწა განელდა, კანი გაუმაგრდა, მის გარშემო არსებული ორთქლიც გაცივდა და წყლათ იქცა; მაშინ გაჩნდა დედა-მიწაზე ზღვები. ამ დროდან იწყება დედა-მიწაზე სიცოცხლის აღორძინება. როგორ და რა გზით აღორძინდა სიცოცხლე, მეცნიერებამ არ იცის; ცხადია მხოლოთ ის, რომ თავდაპირველათ გაისახენ ერთ უჯრედიანი პატარა არსებანი. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ დედა-მიწაზე ყოველგვარი მცენარე და ცხოველი თავდაპირველათ წარმოადგენს ერთ უჯრედს. პატარა კოღო და უზარმაზარი სპილო ერთიც და მეორეც თითო უჯრედიდან ჩნდებიან. ადამიანის ჩანასახი წარმოადგენს თავდაპირველათ ერთ უჯრედს; ეს უჯრედი იყოფა ურიცხვ უჯრედებათ, საზრდოობს და აჩენს ძვალს, რბილს, ტვინს და სხვ. რაც ყველა ერთათ შეადგენს სხეულს. ყოველი უჯრედის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს ერთგვარი ნივთიერება, რომელსაც ეწოდება ცილეული. ჩვენ რომ ვიცოდეთ, თუ როგორ ჩნდება ცილეული, მაშინ ისიც ადვილი გასაგებია, თუ როგორ გაჩნდენ ერთ-უჯრედიანი არსებანი. ზოგიერთი მეცნიერის აზრით ცილეული გაჩნდა ქიმიურათ დედა-მიწის სრული განელების დროს, როგორც მაგალითათ წყალი ჩნდება ორი ჰაერგვარის მჟავბადისა და წყალბა-

დის ქიმიურის შეერთებით. ცილეულში არის ნახშირბადი, წყალბადი, მჟავბადი, აზოტი და გოგირდი.

რა მოელის დედა-მიწას? სიკვდილი. დადგება დრო, როცა დედა-მიწა მოკვდება, როცა ჩვენს დედამიწაზე ყოველგვარი სიცოცხლე მოისპობა, როცა აღარც სისხლის ღვრა იქნება, აღარც ცრემლები, აღარც კვნესა, აღარც წყევლა-კრულვა, აღარც სიცილ-ხარხარი, აღარც მხიარულება. მაგრამ როგორი იქნება ეს სიკვდილი, ამის გამოცნობა ძნელია. დამტკიცებულია შემდეგი: 1) დედა-მიწაზე წყალი და ჰაერი კლებულობს, მაშასადამე დადგება ისეთი ხანა, როცა წყალი და ჰაერი მთლათ მოისპობა,—მაშინ სიცოცხლე შეუძლებელი იქნება; 2) მზე შეუჩერებლათ ნელდება, მაშასადამე დადგება ისეთი ხანა, როცა მზე გაცივდება და მაშინ დედა-მიწაზე სიცოცხლე შეუძლებელი იქნება. 3) ასტრონომთა აზრით ციაგების მოძრაობის სისწრაფე თანდათან კლებულობს. როგორც ნიუტონის კანონი გვიმტკიცებს, ამ მოძრაობის საკმაო სისწრაფეზეა დამოკიდებული ის გარემოება, რომ ციაგები მზეს გარშემო უვლიან და მას არ ეჯახებიან. რაკი ეს სისწრაფე კლებულობს, ცხადია დადგება ისეთი ხანა, როცა სისწრაფე ველარ დააკავებს ციაგებს მზის გარშემო და ისინი მზის გარშემო კი ველარ ივლიან, არამედ მზეზე დაეცემიან. ასტრონომების აზრით ჯერ მერკური დაეცემა მზეზე, შემდეგ ვენერა, მერე დედა-მიწა და სხვა ციაგები. როცა ერთი საგანი მეორეს დაეჯახება, სითბო ჩნდება. ვენერა როცა მზეზე დაეცემა, იმისთანა სითბო გაჩნდება, რომ დედა-მიწას მთლათ დახრაკავს და გაადნობს. რა უფრო ადრე მოხდება ამ სამში ე. ი. ჰაერი და წყალი უფრო უმალ მოგვესპობა, მზე უფრო უმალ განელდება, თუ ციაგები უმალ დაეცემიან მზეს, ეს გამოუკვლეველია. ყოველ შემთხვევაში სიცივე იქნება, თუ სითბო ან უჰაერობა და უწყლობა დედა-მიწის სიკვდილის მიზეზი,—ერთათ ერთი ცხადია. დედა-მიწის ბოლო სიკვდილია და ყოველგვარი სიცოცხლის მოსპობა მასზე.

ივ. გომართელი.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩვენში.

15 ივნისს, ქ. შ. წ. კ. ს. გამგეობის თაოსნობით შესდგა კრება, რომელმაც განიხილა მოხსენება ტრაღიკულათ მოკლულ ი. ჭავჭავაძისათვის ძეგლის დადგმის შესახებ. მოწვეული იყო გამგეობის მიერ 40 კაცი, რომელთაგან მარტო 8 კაცი გამოცხადდა. გამგეობის მდივანმა გააცნო კრებას ის მასალა, რომელიც არსებობს ამ კითხვის შესახებ. ამის შემდეგ გაიმართა კამათი ძეგლის ასაგებათ საჭირო თანხის შოვნის, იაკ. ნიკოლაძეს მოდელის ე-კარგიანობის და კონკურსის დანიშვნის შესახებ. კრებამ კითხვა კონკურსის დანიშვნის შესახებ გადადო იმ დრომდე, ვიდრე არ შეგროვდება ძეგლის ასაგებათ საჭირო თანხა; დაეევალა წ. კ. ს. გამგეობას განაგრძოს მუშაობა და მიმართოს როგორც საზოგადოდ დაწესებულებებს, ისე კერძო პირთ მიმდინარე წლის 30 აგვისტომდე შეატყობინონ გამგეობას, რუ რამდენი შეუძლიანთ გაიღონ ფული ძეგლის ასაგებათ. მგოსნის გარდაცვალების წლის თავზე (30 აგვისტოს) მოხდება წარმომადგენელთა კრება, როდესაც საბოლოოთ გადასწყდება ეს საკითხი.

—

მკითხველმა საზოგადოებამ იცის, თუ როგორ გამწვავებულია ნადიროვის მამულზე დასახლებულ 700 კომლსა და მემამულეს შორის დამოკიდებულება. მემამულენი ცდილობენ ეს ოღრო-ჩოღრო ადგილები საარაკო ფასათ გაასაღონ, ამისათვის ისინი ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ და არავითარ საშუალებას არ ზოგავენ. 10 მაისს ხსენებული მამულის მეორე საჯარო ვაჭრობა, რაღაც ბნელ მიზეზების გამო, გადაიდვა და მოტყუებული ხალხი შინ ცარიელი დაბრუნდა. ეხლა ხალხი ელის მესამე საჯარო ვაჭრობას. უნდა შევნიშნოთ, რომ ეხლა „უტორგოთ“ მამულის ყიდვა აღარ შეიძლება, რადგან ნადიროვის ცოლი გარდაიცვალა და ჯერ კანონიერი მემკვიდრე არავინაა. მამული ჯერ-ჯერობით „ოპეკუნის“ ტიგრანოვის და გამგის არტემ ნადიროვის ხელშია, რომელთაც არ შეუძლიათ ადგილის გაყიდვა. მესამე საჯარო ვაჭრობის თავიდან ასაცდენათ ათასნაირ პროვოკაციას ეწევიან, რაშიც კარგი ნაწილი უდევს არტემ ნადიროს. ამ საქმეში ხელს უწყობენ ხსენებულ მამულში მცხოვრები ნაძირალებიც. ვნახოთ რა საზღვრამდე მიიყვანენ ეს ვაჟბატონები თავიანთ მოქმედებას, რით დააბოლოვებენ მას?

—

თბილისის ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის იურისკონსულტს შეასრულოს ქალაქის სახელზე ჩუქებითი აქტი, რომლითაც ზუბალაშვილისაგან შეწირული სახალხო სახლი უნდა ჩაითვალოს ქალაქის საკუთრებათ.

—

15 ივნისს, თავის სახლის მეორე სართულის ბალკონიდან, გადმოვარდა ბ-ნი ზაქ. ჭიჭინაძე, რომელიც საშინლათ დაშავდა, ჭიჭინაძე მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს; ექიმების სიტყვით იმისი მდგომარეობა საშიშია.

—

ამ ჟამად ავათ იმყოფება ჩვენი ცნობილი არტისტი ვასო აბაშიძე, რომელიც 30 წელ. მეტია ემსახურება სამშობლო სცენას, სადაც პირველი ადგილი დაიკავა. თბილისის ექიმებმა გაუკეთეს ოპერაცია. საჭიროა იმისთვის ჰაერის გამოცვლა. სასურველია ჩვენმა საზოგადოებამ მიიღოს მხურვალე მონაწილეობა საყვარელ არტისტის ჯან მთელობის აღდგენაში.

—

16 ივნისს მოხდა კრება იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქნდა წ. კ. გ. ს. გამგეობისაგან ბიბლიოთეკა-მუზეუმის შენობისათვის სახსრის გამოძებნა. როგორც გამოირკვა, საზოგადოებას საკუთარ შენობისათვის აქვს 11,000 მან. დასჭირდებათ კიდევ 25,000 მან. კომისიამ სასურველათ სცნო, რო განზრახულ შენობაში ადგილი დაეთმოს საქართველოს საისტორიო-საეტნოგრაფიო საზოგადოებას, რომლის გამგეობასთან ერთად კომისიამ უნდა განიხილოს ყველა საკითხები შენობის შესახებ.

18 ივნისს, თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში მოხდა დამფუძნებელი კრება ახლად დაარსებულ „განათლების“ საზოგადოებისა. კრებას თავმჯდომარეობდა ქ-ნი ან. წერეთლისა. წაკითხულ იქნა საზოგადოების წესდება. ზოგმა გამოსოქვა ის აზრი, რომ მეტია სხვა და სხვა განათლების საზოგადოებების დაარსება, როდესაც არსებობს წ. კ. გ. საზოგადოება, რადგანაც ამით იქსაქსვის საზოგადოების ძალები. კრების უმრავლესობა არ დეთანხმა ამ აზრს და სასურველათ სცნო, რაც შეიძლება მეტი და ფართე გზა მიეცეს კერძო ინიციატივას სკოლების დაარსების საქმეში. მხოლოთ კერძოთ დაარსებულ საზოგადოებათ მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭიროს წ. კ. გ. საზოგადოებასთან. ამის შემდეგ მოხდა არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ან. თუმანიშვილი-წერეთლისა; გამგეობის წევრებათ: ან. იაკ. პავლიაშვილი, ნინო ბარათაშვილი, ალ. ფალავა, ნ. ერისთავისა, ვ. მიქაბერიძისა, ეკ. მესხისა კანდიდატებათ: მ. რატიშვილისა, ელ. ბარათაშვილისა და გიორგი ნატრაძე.

—

თბ. გენ.-გუბერნატორმა დააჯარიმა პატრიოტების გაზ. „გოლოს კავკაზა“ 300 მან.

—

წარსულ ოთხშაბათს, დილის რვა საათზე, საგუბერნიო ციხის ახლო მდებარე ხრამში სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ჩამოდრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი ვლადიმერ ჭელაძეს და კონსტანტინე ჩულკოვს.

—

გაზ. „ნაპერწკალს“ ფოთიდან ატყობინებენ, რომ 16 ივნისს მოხდა შეტაკება შავ-ქვაზე მომუშავე სომეხ და თათარ მუშათა შორის. დაჭრილა 12 მუშა თათარი, მათგან ორი მძიმედ, და ორი სომეხი მუშა მსუბუქად. დაპატიმრებულია 46 სომეხი. როგორც ფოთიდან ჩერნიავსკის მუშები ატყობინებენ ოსმალეთის საგენერალო კონსულს, მიზეზი შეტაკებისა ის ყოფილა, რო ხაზეინები სამუშაოს განაწილების დროს უპირატესობას აძლევდენ ოსმალელებს და სომხებს უარს ეუბნებოდენ.

—

თბ. გენ. გუბ. განკარგულებით დაიხურა ქართული ყოველ კვირეული გაზ, „ცის ნამი“.

—

ლ. სამტრედიაში, 14 ივნისს, პაპავას სასტუმროში დაიჭირეს ექვთიმე ახობაძე და ვანო ხურცილავა, რომელთაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ 7000 მან. ყალბი ფული. ორივე დატუსაღებული საგუბერნიო ციხეში გაგზავნეს.

—

რედაქციამ მიიღო რუსულ ენაზე „პოსრედნიკის“ გამოცემანი ე. ელმანოვის შემდეგი წიგნები: 1, „Нашъ огородъ“; 2, „Нашъ плодовой садикъ“ და 3, „Нашъ ягодный садикъ“. აღნიშნულ წიგნებში ჩართულია მრავალი სურათები; წიგნები სუფთათა და ლამაზათაა გამოცემული.

—

გამოვიდა „ნაკადული“ მოზრდილთათვის № 6; მცირე წლოვანთათვის № 11. ნომერი ჩვეულებრივათ სუფთათა და კარგათაა გამოცემული.

—

რედაქციამ მიიღო „პოსრედნიკის“ გამოცემა: „Молодымъ людямъ и отцамъ для сыновей. Бесѣды о половой жизни человѣка, начиная съ отрочества“. **Е. Шеперда**. თარგმანი ინგლისურიდამ. ე. ა. დუნაევისა. წიგნში მოიპოვება საჭირო საზოგადო ცნობები ფიზიოლოგიიდან. წიგნი დასურათებულია.

—

მოგვივიდა ს. მაჭავარიანის მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნაკი: „ვინ არიან ხალხის მტრები სოციალ-დემოკრატები თუ ფედერალისტები?“ ფასი 7 კაპ.

რუსეთში.

სიკვდილი მიუსაჯეს: ვარშავიში—9 კაცს, კრემენჩუგში—ექვს, ეკატერინოსლავში—შვიდს, პოლტავაში—ოთხს. კიევში—სამს, ადესაში—სამს, სევასტოპოლში—ერთს. („რეჩ“ 8. 11. 12. 14. ივნ.)

—

სიკვდილით დასაჯეს: ეკატერინოსლავში—ექვსი, რიგაში—ორი. კიევში—ერთი, რეველში—ერთი. („რ“ იგივე.)

—

ქ. სარატოვში დახურეს ოთხი პროფ. კავშირი.

—

გენერალ სკალონის მოკვლის განზრახვაში ბრალდებულთ მიუსაჯეს სიკვდილი, რაც შეცვლილ იქნა უვადო კატორგით.

—

ბელოსტოკის აწიოკების (პოგრომის) საქმეზე სასამართლომ ორს მიუსაჯა გამასწორებელ რაზმში ყოფნა, 13-ს ერთ წლამდის დატუსაღება, ხოლო 15 გაამართლა

—

მოსკოვში სავარჯიშო მოედანზე (იპპოდრომზე) „ნაყინით“ მოიწამლა მოსეირნე პუბლიკის მთელი მასსა; როგორც ქიმიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, „ნაყინში“ ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ჩაურევია სახარინი და თაგვის შაქარი.

—

ქ. პეტერბურგში ლ. გვ. საპიორთა ბათალიონის სახელოსნოებში კიდევ აღმოაჩინეს ერთი ახალი საიდუმლო საწყობი, სადაც ინახებოდა სხვა და სხვა აირაღი.

—

ქ. ადესაში თავად შჩერმეტოვის თავმჯდომარეობით მოხდა მონარქისტთა სიეზდი, რასაც ზოგიერთები დიდ მნიშვნელობას აწერენ.

—

კოვროვში (ვლად. გუბერნიაში) 40—მდე ბინა გაჩხრიკეს, უმეტესათ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ცნობილ მოსამსახურე პირებისა.

—

ქ. სევასტოპოლში ნახეს ბომბებისა და იარაღის საწყობი.

—

სრეტენსკის ახლო გაძარცვეს ფოსტა: დაჭრილია ფოსტის ორი მოხელე, წაიღეს 4 ფუთი ოქრო 67,125 მან.

—

მოსკოვის საოლქო სასამართლოს არქივი გაქურდეს: გაიტაცეს ძვირფასი ნივთები.

—

ტაგანროგის ოლქში პასტუხოვსკის მადნებში გაზის აფეთქებით დაიღუპა 4 მუშა, დაიჭრა სამი.

—

111 დეპუტატმა განცხადება წარუდგინა პ. სტოლიპინს იმის შესახებ, რომ აუცილებელ საჭიროებათ ცნობენ აღკრძალულ იქნას სამეტალურგო ტრესტის

შედგენა და საზოგადოთ ტრესტებზე კანონპროექტის შემუშავება. პრემიერ-მინისტრმა აღუთქვა, რომ მთავრობა ხელს შეუშლის ტრესტის შედგენასო.

—

ფიქრობდენ, გაემართათ გასულ ოთხშაბათს, ფინლიანდიის სეიმის არჩევნების დღეს საყოველთაო გაფიცვა მთელ ფინლიანდიაში.

მონარქისტთა სიეზდზე ადესაში გადაწყვიტეს შუამდგომლობა აღძრან, სადაც ჯერარს, რომ სახელმწიფო სამსახურიდან გადაყენებულ იქნან: გენერალი კუროპატკინი და ადმირალი ალექსეევი.

—

ბარნაულში მიაგნეს იარაღის საწყობს, სადაც ბლომათ იყო შენახული: მაუზერები, ბრაუნინგები, პატრონები და ხანჯლები. დაატყვევეს 5 კაცი.

უცხოეთში.

ამერიკაში ამჟამათ კამპანიაა გაჩაღებული ახალ პრეზიდენტის ასარჩევათ. საარჩევნო მიტინგებში მხურვალე

მონაწილეობას იღებს სხვათა შორის ეხლანდელ პრეზიდენტის, რუზველტის ქალიშვილი, რომელიც ხშირათ ჩნდება ტრიბუნაზე რესპუბლიკანელთა კანდიდატის დამცველ ორატორათ.

18 ამ თვეს (ახ. სტ.) ჩიკაგოს ქუჩები აახმაურა ერთმა მანიფესტაციამ, რომლის ბაირაღებს ასეთი წარწერები ჰქონდა: „გინდათ ბ-ნი ტაფტი?*) არა“.—„ის, ვინც ჩვენა გვჭირია, არის ტედი**) და არა ტაფტი“.

სპარსეთის შაჰის ჯარს, რომელმაც ალყა შემოარტყა მეჯლისს (პარლამენტს) და ენჯუმენებს (რევოლიუციონერთა კლუბს), წინამძღოლობდა რუსი პოლკოვნიკი — ლიახოვი. ინგლისის და რუსეთის წარმომადგენლებმა შაჰს მოთხოვეს, რომ დაუყონებლივ იქნას აღდგენილი წესიერება. შაჰის მომხრეებმა დაატყვევეს მეჯლისის თავმჯდომარე, სახალხო პარტიების ხელმძღვანელ-წინამძღოლები, გაზეთის რედაქტორ-გამომცემლები და სხვა მრავალი პოლიტიკური მოღვაწენი.

ტონკინში მოხდა შეტაკება საფრანგეთის ჯარსა და ჩინეთის რევოლიუციონერთა შორის.

ქ. მიუნხენის (გერმანიაშია) სასამართლომ სამ თბილისელ ექსპროპრიატორს: სარრა რავიჩს, აზარიანცს და კოლომირიანცს, რომელთაც ბრალდებოდათ 1907 წ. იენისში ერევნის მოედნიდან გატაცებულ ფულის ევროპაში გასაღება, მიუსაჯა ერთი წლით ციხეში დაპატიმრება.

უცხოეთის პრესა.

ამას წინათ ლონდონში გამართულ ქალების მანიფესტაციის შესახებ (იხ. „ჩვენი კვალის“ წინა №-ში მოთავსებული კორესპონდენცია) ინგლისის სოციალდემოკრატიის ორგანო „jstice“ (ივნისის 20 თარიღით) სწერს:

„ქალებ სუფრაჟისტების (საარჩევნო უფლების მაძიებელნი) დემონსტრაცია დიდმნიშვნელოვანი იყო, მან გვიჩვენა თუ რა დიდი და მოზარდი რიცხვია ქალებისა, განსაკუთრებით შეძლებულ და მდიდარ კლასებში, რომელნიც ფიქრობენ, რომ მათაც უეჭველათ უნდა ჰქონდეთ საპარლამენტო უფლებანი; მან გვიჩვენა აგრეთვე, რომ თუ საშუალება არის, ქალებსაც შესძლებიათ დიდი უნარი გამოიჩინონ საქმეში, შესძლებიათ ისევე კარგათ, როგორც თვით მამა-კაცებს, ჩადგნენ პროცესიაში ბაირაღებითა და დროშებით და—რომ თვით არისტოკრატ ქალებს (ფეშენებელ ლედის)—როცა დაარწმუნებთ, რომ ეს სასარგებლოა მათი ინტერესებისათვის-შესძლებიათ მიმართონ სწორეთ იმავ პოლიტიკურ მანიფესტაციას, რაც აქამდის ეგონათ მხოლოთ „ბრბოს“ მონოპოლია.

ჟურნალის აზრით, ამ დემონსტრაციამ უფრო კი ის „დაგვანახვა თუ ცოტა ხალხს რა შეუძლიან გააკეთოს ბევრი ფულით“. ჟურნალი დასძენს:

„ჩვენ სოციალდემოკრატებს რომ გვქონოდა მხოლოთ მეათედი იმ ფულისა, რაც დაიხარჯა ქალების ამ ორ დემონსტრაციაზე, ჩვენ ყველა სრულ წლოვანთა საარჩევნო უფლებისათვის და სრულ დემოკრატიულ პოლიტიკურ პროგრამისათვის მოვაწყობდით ისეთ სახალხო დემონსტრაციას, რომელიც ერთიანათ დაჩრდილავდა ამ ორივე დემონსტრაციას, მაგრამ ჩვენ სწორეთ ფული გვაკლია“.

ეს შენიშვნა ერთობ დამახასიათებელია ინგლისელ მხანაგების.

*
* *

როგორც იცით, ამ ბოლო დროს თვით ჩინეთშიაც ფეხს იკიდებს რევოლიუციონური მოძრაობა, რომლის ერთი შესანიშნავი მეთაურია სუნ-იატ-სანი. ამას წინათ ამ უკანასკნელმა ტოკიოში წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა ჩინეთის ყველა რევოლიუციონერების სახელითა და მინდობილობით. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები, როგორც ეს დაბეჭდილია ფრანგულ გაზ. „Huшanite“-ში. (№ 1514)

როდესაც—ამბობს სუნ-იატ-სანი—მინგის დინასტის პირველმა იმპერატორმა გარეკა მონგოლები, მან ამით აგრეთვე აღადგინა ჩინეთის ეროვნება; მაგრამ მან ხელუხლებლათ დასტოვა ძველი რეჟიმი, აბსოლიუტური (თვითმპყრობელი) მონარქია; სამასი წლის შემდეგ ჩინეთს კვლავ შემოესივნენ, ამ ხელათ მანდჩუსები. ეს გარემოება გვიმტკიცებს რეჟიმის სისუსტეს. მაშ თუ არ იქნა ღრმა და ძირითადი ცვლილება, ისე არ არის პროგრესი.

ოდესღაც პოლიტიკურ ცვლილებათა მიზანი იყო ხოლმე ერთი იმპერატორის ნაცვლათ, მეორე ადამიანის წამოყენება. ჩვენ, რევოლიუციონერებს, რომ მხოლოთ ასეთი მიზანი გვქონოდა, ჩინეთი დაღუპული იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ქვეყანას აღარ უნდა ვუცქეროდეთ, როგორც ერთი ადამიანის კერძო საკუთრებას. გარდა ამისა, დღეს უცხოელები სინსილა გაწყვეტილი შესცქერიან ჩინეთს. ამიტომ დღეს უფრო მტკიცეთ, ვინემ როდისმე მოწადინებული ვართ დავამყაროთ სახალხო მართვა-გამგეობა.

საინტერესოა, რომ ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობას აგრეთვე სოციალისტური ხასიათიც ჰქონია, ე. ი. მოძრაობის მეთაურნი სოციალისტური იდეალებით ყოფილან გამსჭვალული. და ამ-სთანავე, მათი სოციალიზმი არ ყოფილა მოკლებული ორიგინალობას.

იგივე სუნ-იატ-სანი განაგრძობს:

„მდიდარ და ძლევამოსილ ქვეყნებში, როგორიც არის ევროპა, ამერიკა და იაპონია, გადასახადები მთელი სიმძიმით აწევს ხალხს. ჩინეთში, სოციალურ რევოლიუციის შემდეგ, კერძო ადამიანებს გადასახადი არასოდეს აღარ ექნებათ გამოსაღები. იარსებებს მხოლოთ სამამულო გადასახადი და ეს სავსებით საკმაო იქნება, რათა ჩინეთი გადაიქცეს უმდიდრეს ნაციათ მთელ დედამიწის ზურგზე. სხვა ქვეყნები ვერასოდეს ვერ მიაღწევენ ჩვენი სოციალისტურ სახელმწიფოს სიმდიდრის სიმაღლეს. ის, რასაც ჩვენ განვახორციელებთ, არ იქნება მიბაძვა, პირიქით, ჩვენ სხვებს მივცემთ მაგალითს. ეჭვი არ არის, რომ ჩვენს რევოლიუციას მიბაძავენ სხვა განათლებული ნაციები. ერთის სიტყვით, მიზანი ჩვენი რევოლიუციისა არის ყველას ბედნიერების უზრუნველყოფა..

*
* *

გაზეთის იმავე ნომერში ჟორესი ეხება რუსეთის უკანასკნელ დროის შავ-ბნელ მდგომარეობას, განუწყვეტელ რეპრესიებს, სამხედრო-საველე სასამართლოების შეუწყვეტელ მოქმედებას, პოლიტიკურ პროცესებს და დაღადებს:

„ევროპა ცივილიზაციით აცისკროვნებული, ევროპა მოაზროვნე ნუ თუ არ აღიმაღლებს ხმას აღშფოთებისას და

---

*) ტაფტიც და რუ ზველტიც ორივე რესპუბლიკანელთა კანდიდატებია. უკანასკნელი ცნობით, რადგან რუზველტმა უარი განაცხადა ხელახალ პრეზიდენტობაზე, დიდი ხმის უმეტესობით პარტიამ კანდიდატათ აირჩია ტაფტი.

**) საშინაო სახელია რუზველტისა.

სიბრალულისას? ნუ თუ არ მოითხოვს შეწყალებას იმ ადამიანებისათვის, რომელთა დანაშაული მარტო ის არის, რომ სასოწარკვეთილების გამწარებით აღდგენ საზარელი რეჟიმის წინააღმდეგ?

ყველა იმათ, ვისაც მკერდში გული უცემს, ჩვენ მივმართავთ მხურვალე მოწოდებით. მთელის ჩვენი არსებით ვევედრებით ყველა იმათ, ვისაც კი რაიმე გავლენა აქვს ევროპის საზოგადოებრივ აზრზე, ვევედრებით აღიმაღლონ ხმა. იქნება იმათმა ცდამ ააშოროს კაცობრიობას ეს ახალი საშინელი ვაება. გაწამებულ ხალხის პოლიტიკური თავისუფლება და ნაციონალური თვითარსებობა აი რისთვის იბრძოდენ ისინი, ვისაც ეხლა თავს წასდგომია ჯალათის აჩრდილი...“

ასე ღაღადებს პროლეტარულ ევროპის წარმომადგენელი, ხოლო ბურჟუაზიული ევროპის წარმომადგენელნი ხელუხლებელ, წმინდა ცნებათ აღიარებენ, რომ უცხო სახელმწიფოს შინაურ საქმეებში არ უნდა ჩაერიოვო; თუმცა იგივე პატრონები იარაღითაც ერევიან უცხო სახელმწიფოს შინაურ საქმეებში, როცა ამას მოითხოვს მათი (ბურჟუაზიის) ეკონომიური ინტერესები და არა რაიმე ჰუმანიური საქმე.

*
* *

ჰნჩაკისტების ცენტრალურ ორგანოს „ჰნჩაკის“ აპრილ-მაისის (4-5) ნომერში მოთავსებულია ერთი წერილი, რომელიც აღნიშნავს თუ რა მდგომარეობაშია სომხის ხალხი რუსეთსა და ოსმალეთში. პირველზე შენიშნავს, განმათავისუფლებელ მოძრაობის გამოისობით იყო, რომ რუსეთის მთავრობამ სომხობას დაუბრუნა საეკლესიო მამულები და სკოლები. ახლაკი, როდესაც რეაქცია გაძრიელდა, სომეხთა სკოლებს ელის იგივე მდგომარეობა, რომელშიც იყო იგი გოლიცინის დროს.

მერე ჟურნალი ეხება ბურჟუაზიულ ინტელიგენციას: „და როდესაც სომხის მდაბიო ხალხი ამგვარ მდგომარეობაშია, რას ფიქრობს სომხობის ის ნაწილი, რომელიც ტრაბახით **ხალხის** სახელით ლაპარაკობს ყოველ ჟამს: ისინი მიჰყოლიან კულტურულ განვითარების საქმეს, იგინი ფიქრობენ ხელოვნების გაუმჯობესებისათვის, და სხვა, იმ დროს როდესაც ჰკლავენ იმ ხალხს, რომლის კულტურის და განვითარების სახელით ლაპარაკობენ. ამ ახალგაზდობას უყვარს მხოლოდ კარგი სიტყვების თქმა და როდესაც დრო მოითხოვს, რომ სიტყვა საქმედ გადაიქცეს, იგი ყორყმანს დაიწყობს და კაცობა დაეკარგება. ხელიდან მიგვდის, იჟლიტება მთელი მდაბიო ხალხი; მას წინ უდგას სიმშილი, დიდ კაცის მკვლელის, სულთანის ბანაკი და ამდროს სომხის „დიდი თქვია და არაქნია“ ახალგაზდობა, დამშვიდებული გულით აკეთებს ერთ დიდ საქმეს და **ამ დიდმა საქმემ გავლენა უნდა იქონიოს მთელ სომხობის ბედ იღბალზე**. ეს არის **საკათოლიკოსო არჩევნები.**

ჩვენი „სამღვდელო“ ახალგაზდობა ჯერ სომხურ „თავის ნათქვამით“ ცდილობს დროების უკან დაბრუნებას და სამღვდელოების კალთის ქვეშ შესვლას: მას არ უნდა გაიგოს, რომ იგივე სამღვდელოებაა, რომელიც დახმარებას უწევს ძალმომრეობას და საზოგადოთ ხალხის წინააღმდეგ მოქმედობას. სიტყვებთან მოთამაშე ჩვენი ბურჟუა ახალგაზდობისაგან სხვას არც უნდა მოველოდეთ. ეს ინტელიგენტები ვერ ინელებენ იმათ, რომელნიც ხანდახან მათ პირბადესა ხდის და სამართლიანათ ძახის—თქვენ უნამუსო ფალსიფიკატორები ხართ, რომ თქვენ ლაპარაკობთ ხალხის სახელით სწორეთ იმ დროს, როდესაც თქვენ იზმისათვის, თქვენ მოსვენებისათვის, თქვენ ექსპლუატაციისათვის ჰყიდით იმავე ხალხს“.

სახელმწიფო დუმა.

11, 12 და 13 **ივნისის სხდომაზე** დუმამ განაგრძო კამათი სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შესახებ. წარმოსთქვა ოპოზიციის საპასუხოთ სიტყვა განათლების მინისტრმა, რომელსაც აოცებს, როგორც პედაგოგს ის გარემოება, რომ დუმაში სიტყვების წარმოთქმის დროს ოპპოზიციის ორატორები სულაც არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს მოსწავლე ახალგაზდობაზე მთავრობისადმი მათ მიერ გამოთქმული საყვედურები და არ ცდილობენ ამ მოსაზრებით თავი შეიკავონ. მინისტრი აცხადებს, რომ მან მხედველობაში მიიღო დუმაში გამოთქმული **სურვილები** და საჭიროებანი მარა, მას დღეს არ ძალუძს დუმის მიერ არც ერთ დაყენებულ კითხვაზე პასუხი გასცეს, ვინაიდან, მისი აზრით, ამის ნებას საქმის გარემოება არ აძლევს. მაგალ. ამბობს ის, რა შემიძლია ვთქვა ინოროდცების „საშკოლო კითხვის შესახებ? ჩვენ წინაშე წარმოდგენილია გადასაჭრელათ პოლონეთის, ბურიატების, მუსულმანთა და სხვათა კითხვები, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტას ჩვენ მუდამ ვფიქრობთ, მარა აქ ამაზე ლაპარაკი უდროვოცაა და უალაგოცო. დასასრულ ორატორი დეპ. მელიუკოვის საგულისხმოთ ამბობს რომ პროფეს. შვარცი ე. ი. თვითონ მინისტრი არ გამოცვლილა, ის წინათაც კანონიერების მომხრე იყო და ეხლაც კანონის მტკიცე დამცველი იქნება. (ტაშ უკრავენ მარჯვნიდან).

კამათის შემდეგ დუმამ ხარჯთ.-აღრიცხვა მუხლობით განიხილა და მცირეოდენი შესწორებით დაამტკიცა კიდეც. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ განაცხადა: თუმცა ის განათლების გავრცელების მომხრეა, მარა, რადგანაც სამინისტროს დღეს არც გარკვეული გეგმა აქვს შემუშავებული მოქმედებისთვის და არც შეუძლია შეუდგეს შკოლის განახლების საქმეს, კენჭის ყრის დროს თავს იკავებს და ხმას არ აძლევს.

13 ივნისის სხდომაზე დუმამ განიხილა სამი კანონპროექტი: ორი ფოსტა-ტელეგ. მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ და ერთიც ვლადივასტოკცურუგის რეისის დაარსებისა. სამივე უცვლელათ მიიღო.

16 **ივნისის სხდომაზე** რამდენიმე წვრილ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ შეუდგა კამათს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტის შესახებ. კომისიის მომხსენებელი **ანტონოვი** აცხადებს, რომ კომისიამ საჭიროთ სცნო კანონ-პროექტის მიღება და მისი განხორციელება; ის შეეხება მოსამართლის უწყების მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდებას. კომისიის აზრით ეს სამართლიანია, ვინაიდან სასამართლოს მოხელეთ (ჩინოვნიკებს) დღესაც ისეთივე ჯამაგირი აქვთ დანიშნული, როგორიც ამ ორმოცი წლის წინათ ჰქონდათ, მაშინ როდესაც ცხოვრება 50% გაძვირდა. ამიტომ კანონ-პროექტის ძალით უფროს მოხელეთ უნდა მიემატოს 15-20% მდე ჯამაგირი და უმცროსებს კი 50% მდე.

იუსტიციის მინისტრი თავის სიტყვაში იცავს კანონპროექტს და სხვათა შორის ამბობს, რომ „თუ სასამართლოს ჩინოვნიკებს ჯამაგირი არ მოემატა, ისე შეუძლებელია შეინარჩუნოს რუსეთის სამართალმა ის მშვენიერი თვისებები, რომლებიც გამოიხატება მის უანგარობასა და პატიოსნებაშიო“ (ტაშისცემა მარჯვნივ და ცენტრში). მინისტრის წინაამღმდეგ ილაპარაკა

მემარჯვენე გლეხმა **დეპ. დვორიანინოვმა**, რომელმაც განაცხადა: ჯერ გააუმჯობესეთ გლეხთა და მუშათა ნივთიერი მდგომარეობა და მერე შეუდექით ჯამაგირების გადიდებასო. (მარჯვნივ იცინიან და ყვირიან: „ეჰე, ისევ დაიწყო;“ მარცხნით ტაშის ცემაა და ძახილი: „ოჰო, მემარჯვენე გლეხი მარცხნით მიდის.)“

გლეხ დვორიანინოვის საწინააღმდეგოთ დეპ. **შულგინი** ამბობს: მემარჯვენეთა ფრაქცია **სულაც არ ეთანხმება** თავის თანაწევრს დვორიანინოვს და აცხადებს, რომ ის ხელს მისცემს კანონპროექტს, რადგანაც მას იგი მეტათ საჭირო საქმეთ სცნობს.

ხმის უმეტესობით დუმამ კანონპროექტი მართლაც მიიღო და გადასცა სარედაქციო კომისიას.

ამავე დღის საღამოს სხდომაზე დუმამ განიხილა ფინანსთა მინისტრის განცხადება **200 მილიონი მანეთის სესხის შესახებ**. ფინანსთა მინისტრის სიტყვით, სახელმწიფომ რომ მიმდინარე წლის ხარჯები დაფაროს, ამისთვის საჭიროა აუცილებლათ ისესხოს წლის გასვლამდე 200მილიონი მან., რითაც ის დაფარავს „დეფიციტს“. მინისტრის წინააღმდეგ ილაპარაკა სოციალდემოკრატმა **დეპ. პრედკალნიმ**, რომელმაც თვისი სიტყვა დაასრულა შემდეგი განცხადებით: სოციალდემოკრატიულ ფრაქციას არ ძალუძს ხელი შეუშალოს სესხის აღების დადასტურებას დუმის მხრივ, მარა ის თავის მოვალეობათ ცნობს, რომ დუმის ტრიბუნიდან გააფრთხილოს მაინც თავისი ამომრჩევლები ამ სესხისაგან. (ტაშის ცემა მარცხნივ, ხმაურობა მარცხნივ და ცენტრში). სოციალდემოკრატებისა, ტრუდოვიკების წინააღმდეგ **დუმის უმრავლესობამ 200 მილ მან სესხი დაამტკიცა** და სახელმწიფო საბჭოს გადასცა.

* *
*

ღამის ბინდ-ბუნდი დააწვა არეს,
ცას სქელი ნისლი გადაეფარა,
ტყე აკვნესდა და გამოძახილმა
მთის ღრანტეებში გადიხარხარა.
სინათლის სხივიც არსაით მოსჩანს,
ირგვლივ ყველაფერს წყვდიადი სწურავს,
არც ვარსკვლავები მოციმციმებენ
ცის კაბადონზე, არც მთვარე სცურავს.
მკვდრული სიჩუმე გამეფებულა,
გულ-ჩათხრობილათ ყველაფერს სძინავს,
მხოლოდ ულრანი ტყე მთის უბეში
გულშეხუთულად კვნესის და გმინავს.
მთის ნაკადულსაც თვისი ხმაური
პირზე აკვდება რაღაც ლულლულათ.
ასწლოვან ხეთა გრძელი ტოტები
გადაჰქსოვიან მას თავზე თაღათ;
წმინდა ტალღები გაკაპასებით
ამართულ ზღუდეთ ზედ აწვებიან,
სურთ,-გაანაგრიონ და კლდეთა ძირებს
თავგამეტებით ენარცხებიან...
მაგრამ კრბებიან ისევ წვეთები,
ახალ ტალღებათ თავსა იყრიან
და განაგრძობენ ზედიზედ მისვლას,
გასაჭირის წინ ქედს არ იხრიან!
და იმედი აქვთ, რომ გაანგრევენ:
გასწმენდენ თავის გზა-სავალ არხსა!
შენ კი რად უკრთი, ცხოვრების შვილო,
დღეს პირ უკუღმართ ცხოვრების ჩარხსა?!
მედგრათ ეკვეთე იმის სახელურს,
რომ შეუბრუნო მის ტრიალს პირი
და გულს ფიქრადაც აღარ გაივლო
უიმედობა და გასაჭირი!..

ნ. ზომლეთელი.

პროვინცია

სამეგრელო. არსად ჩვენს ქვეყანაში ისე ცუდათ არ არის დაყენებული საზოგადო კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა (სკოლები, ბიბლიოთეკები...) საქმე, როგორც სამეგრელოში .. სკოლებს ხალხი რაღაც ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულ დაწესებულებათ სთვლის და ახლოს დიდის კრძალვა-მორიდებით ეკარება. ჩინოვნიკ მასწავლებელთა ათასგვარ უწესოებას ხომ საზღვარი არა აქვს. მხოლოთ ამ ბოლო დროს ქართული ენის სკოლებში შემოღებისა და ეგრეთ წოდებული სამზრუნველოს დაწესებასთან ერთად ხალხიც ნელნელ უახლოვდება სკოლას და სცდილობს რამოდენიმეთ მის გადემოკრატების გზაზე დაყენებას; თუმცა, სანამ არსებული პირობები უცვლელათ რჩებიან, ვეჭვობ, რომ ამ მხრითაც გადადგმულ იქნას რაიმე სახეირო ნაბიჯი. ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ხსენებაც კი არ არის აქ. თვით ისეთ ცენტრში, როგორიც ქ. ზუგდიდია, სამკითხველო კი არა, ჟურნალ გაზეთსაც თითო ოროლა კაცი იწერს და იმასაც უმთავრესათ ოფიციოზურ Кавказъ-ს. ზუგდიდელი მოქალაქე თავისუფალ დროს ლოტოსა და ბილიარდის თამაშში ატარებს. არის ერთი წიგნის მაღაზია, მაგრამ გაზეთის ქონებას შიგ, როგორც თვითონ მაღაზიის პატრონი აღიარებს, დანაშაულობათ ყოფილა მიჩნეული. მიუხედავათ საქმის ასეთი მდგომარეობისა, ჩემის აზრით, საკმარისია ცოტა მონდომება, რომ იმ წრფელ სურვილებთან ერთათ, რომელიც ხალხში არის, მდგომარეობა სულ მალე შეიცვალოს სასიკეთოთ. აქ განსაკუთრებით საჭიროა, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ დედა-ენისა და სამშობლო ლიტერატურის გავრცელების საქმეს. იმ კერპულმა დაჟინებამ— „მეგრელები ქართველები არ არიანო“—თვით მეგრელთა მამაცური პროტესტისა (თუმცა ისკარიოტელი აქაც ბლომათ იყო) და ჩვენი პრესის გამოსარჩლების მეოხებით უკვე დაჰკარგა ფასი, რაიცა აღინიშნა, სხვათა შორის, მთავრობის მიერ სკოლებში ქართული ენის სწავლების ნებადართვით. მაშ, ასე! დროა, რომ აქ, ამ ნიადაგზე დავიწყოთ მუშაობა!

მერმე და ვის ევალება ამ საქმეში შავი მუშაობის გაწევა? თავისთავათ ცხადია,—სოფლის მასწავლებელთა იმ ელემენტს, რომლის სულთან და გულთან ახლოა ეს საკითხი; საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ესმის თავისი პირნათელი მოვალეობა ხალხის წინაშე. თუმცა სამწუხაროთ ასეთი პირები აქ ძლიერ ძვირია, მაგრამ ზღვაც ხომ წვეთებისაგან არის შემდგარი!

ამ უკანასკნელ დღეებში ს. ცაიშში (ზუგდიდის მაზრაა) ადგილობრივმა ინტელიგენტურმა წრემ განიძრახა წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსება. მოწვეულ იქმნენ ყველა ისინი, ვინც კი აღნიშნულ საგანს პატივს სცემდა; ხალხი მხურვალე თანაგრძნობით შეხვდა საქმეს და იქვე, იმავე კრებაზე, შეგროვილ იქნა საკმაო თანხა, რომლითაც გამოვიწერეთ 10-15 სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთი. ამ ნაირათ ჩაეყარა საძირკველი ცაიშის სამკითხველოს! წიგნთსაცავის სიტყვიდან საქმეზე გადატანა კი გადაწყვეტილია მომავალ სექტემბრიდან. სხვათა შორის ადგილობრივი მღვდელი—მ. ზოსიმე მაქაცარია ჰპირდება საზოგადოებას ბიბლიოთეკისთვის ნებართვის აღებას, საკუთარი შენობის აგებას და მუდმივ ნივთიერ დახმარებას. იმედია სხვა და სხვა დაწესებულებანი თუ კერძო პირები არ დაიზარებენ დახმარების გაწევას ამ სიმპატიურ საქმეში! დახმარებას მოგვაწოდებენ ამ აღრესით: Г. Зугдиди, провизору Ильѣ Константиновичу Меунаргія, въ с. Цаиши.

ნარ-ქან.

საზოგადო განათლების კურსები სახალხო მასწავლებელთათვის.

დიდებული საქმე „განთავისუფლებისა“, სამოციან წლებიდან დაწყებული, უნდა დაამთავროს ჩვენი დროის თაობამ. სწორედ ისე, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ, იმ მომენტში, როდესაც „გაწყდა ვეებერთელა ჯაჭვი“, რუსეთის საზოგადოების წინაშე ხელ-ახლა წარსდგა დიადი პრობლემა საყოველთაო სახალხო განათლებისა; სწორეთ ისე, როგორც ბატონ-ყმური უღლის დამსხვრევის ბრწყინვალე ეპოქაში, ეხლაც სწრაფათ იჩინა თავი საზოგადო და კერძო ინიციატივამ სახალხო განათლების საქმეში და მთელი ყურადღება სახალხო მასწავლებლისაკენ იყო მიმართული,-დღესაც ისტორიულმა მომენტმა ახალი ძალით წამოაყენა კითხვები სახალხო განათლებისა, და კულტურული მისსია სახალხო მასწავლებლისა ფართო მცხოვრებთა მასსაში იძენს თავის განსაკუთრებულს მნიშვნელობას.

ბევრი სხვა და სხვა გვარი დევნა, შევიწროება, უსამართლობა, წვალება და ტანჯვა განიცადა საწყალმა მასწავლებელმა უმეტეს რეაქციის ბნელ ღამეს, როდესაც მრავალწვალებულ ქვეყანას მძიმე ლოდათ აწვა რეჟიმი პობედონოსცევისა, რეჟიმი, რომელიც უკვ ეჩაესვენა სამარეში თავისი სულის ჩამდგმელით და შეჭნელით, და თუმცა თავდადებული მუშაკი ხალხის, მასწავლებელი, ამ ბნელ დღეებშიაც არ იცილებდა ხელიდან იმ მნათობს, რომელიც მას შეძლების დაგვარათ შეჰქონდა იქ, სადაც მეფობდა სასტიკი „უფლება სიბნელისა“,—მაგრამ მაინც ხშირად ხვდებოდა მას ქედის მოხრა და დამარცხება უთანასწორო ბრძოლაში იმ ოფიციალურ პირებთან, რომლებიც შეგნებულად აკისრებდნენ შკოლას კლერიკალურ-პოლიციურ ფუნქციებსა და ტენდენციების აღსრულებას.

ეხლა, როდესაც ძველი სკოლა თავის ტენდენციით ქრება, როცა ხალხში დიდებული განმანთავისუფლებელი მოძრაობის გავლენით, გაიღვიძა შეგნებამ,—მოწინავე საზოგადოებას მართებს ააგოს თავისუფალი, ახალი შენობა, პირველ-დაწყებით სკოლისა.

მაგრამ განახლებული სკოლის შესახებ კითხვის დასმა ნიშნავს შევეხოთ მასწავლებელს, მის ყოფა ცხოვრებას. დევნილი, როგორც თვით შკოლა, ჩვენი სახალხო მასწავლებელი იყო აქამდის და არის დღესაც მუშა რუსეთისა და თავისი სამშობლო კულტურისა. მივიწყებული მიდუნებულ ცხოვრების უდაბნოში, ქალაქის კულტურას დაშორებული, სახალხო მასწავლებელი ატარებდა რუსეთში მძიმე ჯვარს განმხოლოებული, განმარტოებული მასწავლებლობისას.

ჩვენ ვიცით რა პირობებში უხდებოდა მას მუშაობა. მასწავლებელთა სიეზდები, კურსები და ყოველგვარი ორგანიზაციები სისტემატიურათ იდევნებოდა მთავრობის მიერ. მატერიალური მდგომარეობა ნებას არ აძლევდა მას ეზრუნა თვით-განვითარებაზე, ცოდნათა შეძენაზე; სამასწავლებლო ბიბლიოთეკები სკოლებივით წარმოგვიდგენდნენ უმეტეს შემთხვევებში სანიმუშო კოლლექციებს ყოვლად უვარგისს წიგნებისას. „სიბნელის სამინისტრო“, როგორც უწოდებდა ჩვენს სახალხო განათლების უწყებას კარამზინი, ყოველგვარ ზომებს ხმარობდა, რათა გაენთავისუფლებინა მასწავლებელი „გარეშე გავლენისაგან,“ და სრულიად მოეწყვიტა იგი საზოგადო, პოლიტიკურ ცხოვრებას....

ადვილი ასახსნელია, რომ ასეთ გვარ პირობებში, თუ მივიღებთ მხედველობაში კითხვების სირთულეს, და სხვა და სხვაობას, რომელსაც თვით ცხოვრება უყენებს წინ განახლებულ შკოლას და ხალხს,—კითხვა სწავლის შეძენისა და ცოდნათა გაფართოების შესახებ მასწავლებელთა შორის ღებულობს საგულისხმიერო სერიოზულ მნიშვნელობას. საქმე იმაშია, რომ სახალხო მასწავლებელს ძალა უნებურათ ხვდება გახდეს დღეს კულტურულ ცენტრათ სოფელში. მას ყოველი თანამედროვე კითხვებისა და ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენათა ასახსნელათ მიმართავს არა მარტო შკოლის ახალგაზდობა, არამედ მთელი სოფლის უსწავლელი ხალხი აი, რატომ მართებს მასწავლებელს იზრუნოს თვით-განვითარებაზე, თვით-განათლებაზე, ცოდნათა გაფართოებაზე....

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვინ უნდა შეუწყოს ხელი მასწავლებლის სულიერ განვითარებას, ვინ უნდა დაუკმაყოფილოს ამ ეკლიან სარბიელზე მოღვაწე მუშაკს კულტურული მოთხოვნილებები? სახალხო განათლების სამინისტრომ? თუ გავიხსენებთ იმ ზომებს, რომელსაც განათლების სამინისტრო თვით ადმინისტრაციასთან ერთად ღებულობს ყოველ გვარ მასწავლებელთა მხრივ გამომდინარე თავისუფალ ინიციატივის ჩასაქრობათ; თუ გავიხსენებთ წარსული წლის მოსკოვის საზოგადო განათლების კურსების თავ-გადასავალს, იმ სამარცხვინო როლს, რომელიც იკისრეს მოსკოვის სახალხო შკოლების დირექტორმა და ოლქის მზრუნველმა პოლიციასთან შეთანხმებით კურსების დახურვის საქმეში, ამავე ხასიათის თავგადასავალს, რომელიც განიცადა მოსკოვშივე გამართულმა პედაგოგიურმა კურსებმა დროებით მუშაობის შეწყვეტით; თუ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე იმ შიშს, რომლითაც ადგილობრივი სახალხო შკოლების დირექცია უყურებდა ვიწრო ფარგალში მოთავსებულ მასწავლებელთა სიეზდებს, რომლის მიზანს შეადგენდა პროგრამების გადასინჯვა,—და სხვა მრავალ ასეთს ფაქტებს, - მაშინ ნათლათ შეგვეძლება გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი „სიბნელის სამინისტრო“ ძველებურ ჩვეულებას არ დააგდებს და მასწავლებელთა განვითარების საქმეში ძლიერ ცოტა შრომას და ღვაწლს დასდებს ან სრულიად ყურადღებას არ მიაქცევს...

ერობათა და ქალაქთა თვითმართველობებმა?

აი სწორეთ ვინ უნდა მოჰკიდოს ხელი და წინ გაუძღვეს დღეს სახალხო მასწავლებლის კულტურულ საქმეს: ქალაქისა და ერობის თვითმართველობებმა უნდა მისცენ საღსარი, საშუალება მასწალებელთ ისარგებლონ პედაგოგიურ და საზოგადო განათლების კურსებით, რომელთაც აგერ ორი წელიწადია სისტემატიურათ მართავენ რუსეთის განმანათლებელი საზოგადოებანი: პედაგოგიური საზოგადოებები, სახალხო განათლების ლიგა, ურთიერთშორის დამხმარე საზოგადოებანი და სხვა; თვითონ საკუთარი საშუალებით მართვენ სპეციალურ პედაგოგიურ კურსებს და ხელს უწყობენ მასწავლებელთა გონებრივად და ზნეობრივად ამაღლების საქმეს. ამ მხრივ მაგალითი გვაჩვენა შარშან ვორონეჟის ერობამ, რომლის ინიციატივით სრულიად რუსეთის სახალხო განათლების ლიგის მოსკოვის განყოფილებამ ზაფხულის კანიკულებზე გამართა საზოგადო განათლების კურსები და ამ კურსებზე თავის ხარჯით გაგზავნა 70 მასწავლებელი; წელს იგივე ერობა თავის საკუთარი ხარჯით მართავს სახალხო მასწავლებელთათვის საზოგადო განათლების კურსებს. ვორონეჟის ერობას არ ჩამორჩენია ოდესის, იაროსლავის, პერმის და ზოგიერთი სხ· გუბ. ერობები, რომელთაც შარშან საშუალება აღმოუჩინეს თავიანთ მასწავლებელთ და მისცეს მათ შეძლება ესარგებლნათ ლიგის მიერ გამართულ კურსებით; ერობებს მიბაძეს ქალაქის თვითმართველობებმა, მაგ. ბაქოს, ქუთაისის, ბათუმის, თბილისის, ოდესის, ორენბურგის, და შეძლებისადაგვარათ ხელი გაუმართეს მასწავლებლებს ამ სიმპატიურ საქმეში. მაგრამ ბევრმა ისარგებლა ასეთი კურსებით?—5,500 კაცმა მთელ რუსეთის იმპერიაში.

ეს ხომ ერთი წვეთია ზღვაში. მერე ამ 5,500 კაცში 2% არ შეადგენდენ სამინისტრო და სამრევლო შკოლების მასწავლებელნი, ასე რომ 97 გუბერნიიდან 34 გუბერნიას, რომლებშიაც ერობებია შემოღებული, წილადა ხვდა ცოტაოდნად მაინც ხელი გაემართა მასწავლებელთათვის ცოდნის შეძენის და გაფართოვების საქმეში, დანარჩენი 63 გუბერნია კი, რომელთათვის ბედს ერობები არ ურგუნებია, მოკლებული შეიქნა საშვალებას გაეგზავნა მასწავლებელნი საზოგადო განათლების კურსებზე, ან თვითონ გაემართა კურსები. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან დირექცია და ეპარქიალური პედაგოგიური საბჭოები პრინციპიალურათ წინააღმდეგნი იყვენ და არიან ყველა იმისი, რაც მისცემს საშვალებას მასწავლებელთა შეკავშირების საქმეს, მათ ერთათ თვის მოყრას და სხვა.... მაშ ვინ უნდა იზრუნოს მასწავლებელთა უმრავლესი ნაწილისათვის?

კ. ობჩელი.

---

*
* *

ჩუ! სმენა! გესმით? სულის მქეჯნი
დამღონებელი—
ეს ზარის ხმაა შავი იმბის
მარად მთხრობელი.
ჰაერს მოარღვევს ცნობილ-გლოვის
საგალობელი.
მოასვენებენ! ცხედარს მოსტირს
დედა, მშობელი.
ძაძით მოსილი მისი ცოლი
ქმარს განშორებულს
გმინვით და ოხვრით ცრემლებს აფრქვევს
გვამს გაციებულს.
ქუდები, ხალხო, პატივი ვსცეთ
მიცვალებულსა.
გამოვეთხოვოთ! სამუდამოთ
მიძინებულსა.
მუშის ნეშტია ჩამომდნარი
შრომის ტრაპეზზე;
უკანასკნელად სხივით ამკობს
დიდებული მზე.
დიდხანს ვიდოდა იგი ეკლით
მოფენილ გზაზე,
იმედით სავსე აზროვნობდა
ტკბილ მომავალზე.
არრას წინაშე არ დრკებოდა,
თავისუფლებას

ათაყვანებდა, მით ებრძოდა
დუხჭირ ცხოვრებას.
ის ცხოვრების ველს თვის დანთხეულ
სისხლით ჰლებავდა,
ოფლით და ცრემლით მდიდართ ხროვას
დიდხანს ჰკვებავდა.
დღეს კი, სდუმს იგი! უძრავად წევს
თეთრ კუბოშია,
განშორდა ყოველს! აღარც სცივა,
აღარცა ჰშია.
გუშინ მეტყველი, დღეს უტყვია
საბრალოს ენა.
შესწყდა, აღარ სცემს გრდემლს ზრიალით
მისი მარჯვენა,
განისვენე, ძმავ, ჩვენს შავ-ბედთან
ბრძოლით დაღლილო,
კვნესით და გმინვით სხვის სალხენად,
მუშავ შობილო,
დედის ცრემლებით, სიღარიბის აკვნით
აღზრდილო,
მხოლოდ მანქანის საფლეთხორცად,
ძმავ მოვლენილო!
აწკი მშვიდობით დღე-ღამ ჯაფით
ღონე დაცლილო,
სამაგიეროთ შხამ-ნაღველით
გამოკვებილო.
იძინე ტკბილად! უშფოთველად
მთლად მოქანცულო,
ლუკმაზე ზრუნვით შავ-ფიქრთღელვით
მარად ტანჯულო!..

გ. ქუჩიშვილი.

თეატრი.

ამ დღეებში თბილისს ესტუმრა ქუთაისელ არტისტთა დასი, ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით, არტისტიულ საზოგადოების თეატრში გამართეს ოთხი წარმოდგენა.

შაბათს, 14 ივნისს, წარმოადგინეს კოსოროტოვის პიესა „გაზაფხულის ნიაღვარი“, კვირას შალომ აშას პიესა „შურისძიების ღმერთი“, სამშაბათს არტისტ ვლ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოთ დიმოვის პიესა „ისმინე ისრაილ!“ ხუთშაბათს არტისტ ვასო აბაშიძის სასარგებლოთ კოლიშკოს პიესა „მოსაქმენი“.

ყველა ეს პიესები თანამედროვე ცხოვრებიდანაა აღებული. ეხება დღევანდელ საზოგადოების საჭირ-ბოროტო საკითხებს. ამ პიესების შინაარსი აღსავსეა ძლიერის დრამატიზმით, რაიც ხელოვნებით არის დახატული. სუსტია მხოლოთ პიესა „მოსაქმენი“.

ჩვენ იშვიათათ გვინახავს ქართულ სცენაზე როლების ასრულება და ანსამბლი ასე შეთანხმებოდეს პიესის ღირსებას. ყოველი არტისტი დიდი როლების ასრულებლიდან პატარამდე თავის ადგილას იყო და სინდისიერათ ასრულებდა თავის როლს.

ერთი სიტყვით ქუთაისელმა დასმა დაგვანახვა, რომ ისეთ შევიწროებულ პირობებშიაც, რომელშიაც იმყოფება ქართულა წარმოდგენების საქმე, შეიძლება წარმოდგენა საინტერესო გახდეს და საზოგადოება მიიზიდოს. მთელი დასი დიდი მადლობის ღირსია, რომ იშვიათი ესტეტიური სიამოვნება გამოგვაცდევინა. კერძოთ უნდა მოვიხსენიოთ, რომ ბ-ნი შალიკაშვილი უკვე საპატიო ადგილს იჭერს ქართველ არტისტთა შორის. ის მიუცილებლათ ნიჭიერი არტისტია. ქ-ნ. ჩხეიძეს წრფელი და რეალური თამაშობა გულის სიღრმემდის სწვდება მაყურებელს. ქ-ნი დავითაშვილი, თუ შრომასა და მეცადინეობას არ დაზოგავს, უეჭველათ გადიქცევა ქართულ სცენის ვარსკვლავათ. ბ-ნი ვლ. ალ.-მესხიშვილი მოგვაგონებდა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ არტისტებს... ამ წარმოდგენების მთელი კვირა იშვიათი დღეები იყო ქართული სათეატრო ხელოვნების ისტორიაში. მაგრამ ქართველი საზოგადოება მაინც ძალიან ნაკლებათ დაესწრო ამ წარმოდგენებს. პარტერის თითქმის მეტი ნაწილი ცარიელი იყო ხოლმე. მიზეზი კი-როგორც გამოირკვა—ის გახლავთ, რომ ქართველი საზოგადოება თავის საყვარელ არტისტის ბ-ნ ვლ. მესხიშვილისადმი აღვსილია გასაგები გულის წყრომით, რასაც პოეტი ასე გამოსთქვამს:

„ნეტა ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ ღვთიურ
ნიჭსა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
ხალხი შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!..“

საზღვარგარეთ.

სპარსეთი.

ერთი უცხოელი კორესპონდენტის სიტყვით, როდესაც ამ ცოტა ხნის წინეთ შაჰმა მაჰამეტ-ალიმ მიიღო პარლამენტის დეპუტაცია, მან მძლავრათ მოქნეული ხელი დაჰკრა ხმლის ტარს და სთქვა: „მახვილით მოიპოვეს ჩემმა წინაპრებმა თვისი სამფლობელო; არ იფიქროთ, მე დავსთმო ჩემი ბრძანებლობის უფლებები ისე, რომ არ ვცადო მახვილის ძალა.“ უკანასკნელი დეპეშები თეირანიდან (იხილეთ ამ ნომრის უცხოეთი) გვიჩვენებს, რომ შაჰი შეუდგა თავის მუქარის განხორციელებას. ისინი გვეუბნებიან, რომ შაჰის მონაჩილ ჯარსა და მეჯლისის შეიარაღებულ მომხრეთა შორის გაჩაღებულია ბრძოლა თეირანის ქუჩებში.

აშკარაა, კონტრ-რევოლიუციის ახალ გალაშქრებას მოჰყვება უფრო მეტი გამარჯვება, ვიდრე გასული წლის დეკემბრის კონტრ-რევოლიუციას. შაჰმა თავის ჯიუტობით პარლამენტი იმ თავითვე ჩააყენა ისეთ პირობებში, სადაც შე-

უძლებელი ამ მიქმედება. ბარდამენტს არ მოეხოვება თავის წრეში ისეთი ბირობენება, რომელსაც შეეძლოს სპარსეთის კრომვლისა ან ნაბოლეონის როდის თამაში. მას არ შეუძლია მოახდინოს რაიმე გაუმჯობესება სახელმწიფოში, რომელიც განცარ-ტუტებულია ნასრ-ედ-დინის დროს ადმინისტრატიული ადვირ წახსნილობით. მეჯლისი შეეცადა სპარსეთის ფინანსების გაუმჯობესობას ნაციონალურ ბანკის დაარსებით, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ბანკისთვის საჭირო თანხა ხელის მოწერით არ შესდგა. დღეგანდელ ბირობებში გარეგან სესხის შესახებ მეჯლისს არც კი შეუძლია იფიქროს. აგრე ხაზინა დარჩა ცარიელი. არ იყო საჭირო ფული რეფორმებისათვის, არ იყო ფული ჯარის კაცთათვის ჯამაგირის მისაცემად, ამას კი არ შეეძლო არ დაეკარგა მეჯლისის მნიშვნელობა მასსის თვალში. შაჰისა და ძალიერთა ხელში შეგროვდა მსხვილი სიმდიდრე—იმ შემოსავალიდან, რომელიც უნდა წასულიყო ხაზინაში, მაგრამ სხვა და სხვა ათაბეგების (მამულის მამების) ბატრიარქალურ მართველობის გამო არ ახწევდა მიზნამდის. ამისათვის რეაქციას სამხედრო ბირთა და გავლენიანი სამღვდელოების მოსასყიდათ საშვალება აქვს. აქვს საშვალება შაგრასმელთა „ბოგრომების“ ორგანიზაციისათვის. ის ენტუზიაზმი, რომელიც მეჯლისს აძლევდა ნებას არ მიექცია ეურადღება მბრძანებელთა ბანკის მუქარისათვის, დროს განმავლობაში ტოტ-ტოტა დაეშვა. სჩანს სპარსეთი დაიღალა და შეიძლება ხელ—ახლა გახდეს „ძველი წყობილების“ მომხრეთა მსხვერპლათ.

უნდა ვიცოდეთ რა მნიშვნელობა აქვს „ძველი წყობილების“ აღდგენას სპარსეთისათვის. იქ არ არსებობს არავითარი სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება. სრული ანარქია გამეფებული; არავითარი დაცვა კანონებისა არ მოიხოვების. ასეთი უუფლებობის უფსკრულიდან ქვეყნის გამოყვანას ცდილობდა მეჯლისი. სპარსეთის რევოლიუციას თავის მახლობელ მიზნათ ჰქონდა შეეტანა სპარსეთის წყობილებაში მართველობითი წესების ძირითადი ელემენტები. თუ მაჰმეტ-ალიმ მოახერხა მეჯლისის აღგვა დედამიწის პირიდან, ეს იქნება მხოლოთ იმავე ანარქიის გამარჯვება. მაგრამ ქვეყანამ რა კი შეიგნო თავის მდგომარეობის მთელი უბედურობა, მას არ შეუძლია შეურიგდეს ეხლანდელი შაჰის ბაბუას ნასრ-ედ-დინის რეჟიმის დაბრუნებას. მთავრობის პარტიის გამარჯვებას კი შეუძლია ამ წუთებში დააყენოს სპარსეთი იმ გზას, რომლის სახელია—„La revolution permanence“ (განუწყვეტელი რევოლიუცია).

(რუს. ვედ.)

წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესათ გთხოვთ, ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში და მით საშვალება მომცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადო მებაღე არჩილ სტეფანეს ძე დარეჯანაშვილს, რომელმაც ოც და ათი, სხვა და სხვა გამოცემა, ქართული წიგნები შესწირა ახალ-სოფლის სამრევლო საეკლესიო სკოლას. მომეტებული ნაწილი ამ წიგნებისა სამეურნეო შინაარსის არის. რამდენიმე ეგზემპლიარი გამოგვიგზავნა მოწაფეთათვის დასარიგებლათ, რამაც ძალიან გაახარა მოწაფეები.

მასწავლებელი ლონგიროზ ზაუტაშვილი.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ		7 მ.	— კ.
ნახევარ წლით	—	3 მ.	— კ.
სამი თვით	—	1 მ.	60 კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით		7 მ.	— კ.
ნახევარ წლით	—	4 მ.	— კ.
სამი თვით	—	2 მ.	— კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური

ხელისმოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ книжный магазинъ „Сорапань“ (Мадат. островъ) Рахиль Каландадзе

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მტირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

გამოცდილ მასწავლებელთა

ჯგუფი

ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ საშვალო და დაბალ სასწავლებლისათვის, აგრეთვე ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიისათვის.

შეიძლება უცხო ენების **ფრანგულის, გერმანულის, და ლათინურის** კერძო გაკვეთილების ადგილზე.

პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ადრესი: მადათოვის კუნძული, წიგნის მაღაზია **„სორაპანი“.**

მოითხოვეთ ყველგან

საუკეთესო ქარხნის წყალი

მ. ლალიძის ამხ.

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულიანი ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმყოფება **გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411.**

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სორაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.